FROM THE STORY OF THE VILLAGE KHOZOETI IN THE KSANI VALLEY

ქსნის ხეობის სოფელ ხოზოეთის ისტორიიდან

DAVID AKHLOURI

Doctor of History Associate Professor of Gori State University,
Gori, Chavchavadze st., №53, 1400, Georgia,
+995568990779, datoakhlouri@gmail.com,
https://orcid.org/0000-0002-1068-4042

Abstract

The work discusses the village of Khozoeti in the Ksani Gorge, which belonged to the Karchokhi community. After reviewing the historical and geographical environment, the toponym Khozoeti is explained. The root of the name should be associated with coarse-grained unleavened bread.

There are reviewed the religious life of the village and its shrines: the medieval hall church of Saint Barbara, the transitional church of the Archangel, which was also known to the village population as Saint George.

The village population celebrated almost all Christian holidays, such as the Virgin Mary, the Lomisoba, Saint George, Saint Tomas Sunday, the Archangel, the Barbarian... Sometimes several holidays were celebrated together in one church, which led to its mention by different names... In addition to churches, they also had separate niches built. The chapel of the ancient population of Khozoeti was also the Church of the Virgin Mary located to the west of the village, near Kutskhoeti.

In order to present the demographic picture of the village, the book of Samtavisi seat of the second half of the 18th century, the statistical descriptions of Ksni Saeristavo in 1774 and 1783, the book of "Gasakvani Morigi" from the villages of Zemo Kartli from the years 1774-1800 are reviewed, through which we get to know the dynamics of the rural population of the relevant period, the views imposed on them, here existing agricultural branches, existing relations between serfs and lords. Analysis of 19th-century sources begins with the 1803 royal census, followed by Russian chamber censuses beginning in 1804 and ending with the 1886 census. The population of the 20th century is discussed according to the union censuses of 1923, 1939, 1959, 1970, 1979 and 1989.An important place is given to the situationof the beginning of the twenty-first century and the subsequent occupation of Akhalgori municipality. It should also be noted that the majority of chamber or union descriptions of the XIX-XX centuries are published for the first time, which makes the research topic more important and relevant. In order to better present the past of the village, together with historical sources, attention is paid to the folklore material preserved by the population of the Ksani valley. At the end of the work, the reasons, that led to the transformation of this high-mountainous village into a deserted village at the end of the 20th century, are discussed.

Key words: Karchokhi valley; demographic lists; migration; household; churchesmonasteries; icons; epitaphs; nasoflars; occupation.

დავით ახლოური

ისტორიის დოქტორი,
გორის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი,
ქ. გორი, ჭავჭავაძისქ., №53,1400, საქართველო,
+995568990779, datoakhlouri@gmail.com,
https://orcid.org/0000-0002-1068-4042

აბსტრაქტი

ნაშრომში საუბარია ქსნის ხეობის სოფელ ხოზოეთის შესახებ, რომელიც ქარჩოხის თემს მიეკუთვნებოდა. ისტორიულ-გეოგრაფიული გარემოს მიმოხილვის შემდეგ განმარტებულია ტოპონიმი ხოზოეთი. სახელის ფუძე მსხვილმარცვლიან უფხო პურს უნდა უკავშირდებოდეს.

მიმოხილულია სოფლის რელიგიური ყოფა და იქ არსებული სალოცავები: შუა საუკუნეების წმინდა ბარბარეს სახელობის დარბაზული ეკლესია, გარდამავალი ხანის მთავარანგელოზის ეკლესია, რომელიც სოფლის მოსახლეობისთვის წმინდა გიორგის სახელითაც იყო ცნობილი.

სოფლის მოსახლეობა თითქმის ყველა ქრისტიანულ დღესასწაულს აღნიშნავდა: ღვთისმშობლობას, ლომისობის, გიორგობას, კვირაცხოვლობას, მთავარანგელოზობას, ბარბარობას... ზოგჯერ ერთ ტაძარში რამდენიმე დღესასწაულს ერთად ზეიმობდნენ, რაც იწვევდა მის მოხსენიებას სხვადასხვა სახელებით... ეკლესიების გარდა ცალკე ნიშებიც ჰქონდათ აგებული. ხოზოეთის ძველი მოსახლეობის სამლოცველო ყოფილა ასევე სოფლის დასავლეთით, კუცხოეთთან ახლოს მდებარე ღვთისმშობლის ტაძარი.

სოფლის დემოგრაფიულ სურათის წარმოსაჩენად მიმოხილულია XVIII საუკუნის მეორე ნახევრის სამთავისის საყდრის გამოსავლის დავთარი, ქსნის საერისთავოს 1774 და 1783 წლების სტატისტიკური აღწერილობები, 1774-1800 წლების დავთარი ზემო ქართლის სოფლებიდან „გასაყვანი მორიგისა“, რომელთა მეშვეობითაც ვეცნობით შესაბამისი პერიოდის სოფლის მოსახლეობის დინამიკას, მათზე დაკისრებულ გადასახედებს, აქ არსებულ სოფლის მეურნეობის დარგებს, ყმა-გლეხებსა და მებატონეთა შორის არსებულ ურთიერთობებს.

XIX საუკუნის წყაროების ანალიზი 1803 წლის საუფლისწულო აღწერით იწყება, რასაც რუსული კამერალური აღწერები მოსდევს, დაწყებული 1804 წლიდან 1886 წლის აღწერის ჩათვლით. XX საუკუნის მოსახლეობაზე საუბარია 1923 წლის, ასევე 1939, 1959, 1970, 1979 და 1989 წლების საკავშირო აღწერების მიხედვით. მნიშვნელოვანი ადგილი ეთმობა XXI საუკუნის დასაწყისისა და ახალგორის მუნიციპალიტეტის ოკუპაციის შემდგომდროინდელ ვითარებას. აღსანიშნავია ისიც, რომ XIX-XX საუკუნების კამერალური თუ საკავშირო აღწერების უმრავლესობა, ქვეყნდება პირველად, რაც საკვლევ თემას უფრო მნიშვნელოვანსა და აქტუალურს ხდის.

სოფლის წარსულის უკეთ წარმოსაჩენად, ისტორიულ წყაროებთან ერთად ყურადღება ეთმობა ქსნის ხეობის მოსახლეობაში შემორჩენილ ფოლკლორულ მასალას.

ნაშრომის ბოლოს საუბარია იმ მიზეზებზე, რამაც გამოიწვია ამ მაღალმთიანი სოფლის ნასოფლარად ქცევა XX საუკუნის ბოლოს.

საკვანძო სიტყვები: ქარჩოხის ხეობა; დემოგრაფიული ნუსხები; მიგრაცია; კომლი; ეკლესია-მონასტრები; ხატიმიწები; ეპიტაფიები; ნასოფლარები; ოკუპაცია.

შესავალი

ხოზოეთი ქსნის ხეობის ერთ-ერთი მაღალმთიანი სოფელი იყო, ამჯერად ნასოფლარია. მდებარეობს ქარჩოხის თემში, მდინარეების ქსნისა და ჭურთის წყალგამყოფის აღმოსავლეთ კალთაზე, სოფელ ქენქაანის დასავლეთით, ზღვის დონიდან 1420 მეტრზე. ქართულ საბჭოთა ენციკლოპედიაში მოხსენიებულია როგორც „ხოზუეთი" **(ხოზუეთი (ქსე): 494).** სწორედ ამ სახელით იყო იგი ბოლოს ცნობილი, რასაც ყურადღება მიაქცია ნ. ოთინაშვილმა: ხოზოეთი იქცა ხოზუეთად, ო გადავიდა უ - შიო **(ოთინაშვილი, 2012).** XVIII საუკუნის მეორე ნახევარში მოღვაწე გერმანელი მოგზაური გიულდენშტედტი მას „ხოზოეთის" სახელწოდებით იცნობს **(გიულდენშტედტი, 1962: 275, გიულდენშტედტი, 1964: 63).** როგორც უკვე აღვნიშნეთ, სოფლის სახელწოდება დაკავშირებული უნდა იყოს მსხვილმარცვლიან უფხო პურთან, რომელსაც მთიულეთსა და იმერეთში ხოზოს უწოდებდნენ. იგივეა მითითებული იმერულ და რაჭულ თქმათა სიტყვის კონაში. ხოზო ძველ ქართულ ჯუეზა, ღვეზელთანაა გაიგივებული, რომელიც მსხვილმარცვლიანი უფხო პურისგან მზადდება **(Беридзе, 1912).**

ხოზოეთი ერთ-ერთი უძველესი ქართული სოფელი იყო, ნახსენებია სამთავნელის სარგოს X საუკუნის წიგნში, ქარჩოხის ხეობის სოფლებთან ჭორჭოხთან და ქარჩუხთან ერთად **(კაკაბაძე, 1929: 10).** ჭორჭოხი ქარჩოხის ხეობის სამხრეთით მდებარე ბოლო სოფელია და ხეობის ქვემო ნაწილს მოიცავდა. „ქარჩუხი" სერგი მაკალათიას მოსაზრებით, პავლიანი უნდა ყოფილიყო **(მაკალათია, 1968: 110).** ჩემი აზრით, ძველი ქარჩოხი მოიცავდა ხეობის ზემო ნაწილს, ქარჩოხის ციხის მიმდებარედ მდებარე დასახლებებს, რომელშიც ასევე უნდა მოვიაზროთ ხეობის ადრინდელი ცენტრი ანუ დღევანდელი თინიკაანის სამოსახლო. ხოლო ხოზოეთი, წყაროს მიხედვით „ყაზოთი", ქსნის მარჯვენა მხარეს, ჭორჭოხისა და დღევანდელი ბალაანის მოპირდაპირედ მდებარე სოფლებს აერთიანებდა, რაზეც უნდა მიგვანიშნებდეს ის ფაქტი, რომ მიდელაანის დასავლეთით, ქაშუეთის პლატოზე, სადაც საუკუნეების წინანდელი საცხოვრისის კვალი იკვეთება, ტყის პირას მდებარე ყოფილა პატარა ნიშ-სალოცავი, სადაც გასული საუკუნის 50-60-იან წლებამდე ლოცულობდნენ ხოზოეთში მცხოვრები გამხიტაშვილები და გარიზაშვილები **(ქენქაძე, 2014: 17).** ხოზოეთის მოსახლეობა, მიდელაშვილებთან ერთად, ბოლო დრომდე ლოცულობდა ასევე ქაშუეთის ეკლესიაში, რომელიც, თავის დროზე ქარჩოხის ხევისთავის საგვარეულო სალოცავი უნდა ყოფილიყო. ძველი დროიდან მომდინარედ მიმაჩნია ქაშუეთთან დაკავშირებულ ტრადიცია - ახალმოყვანილი პატარძალი აუცილებლად უნდა მიეყვანათ ეკლესიაში და დაელოცათ.

ყურადსაღებია კიდევ ერთი რეალობა, კერძოდ, ჭორჭოხში მოსახლე ბალხამიშვილები და ხოზოეთში მცხოვრები გამხიტაშვილები ერთმანეთს სახლიკაცებად ანუ ბიძაშვილებად თვლიდნენ. ეს, თავის მხრივ, ქარჩოხის ხევის ძველი სოფლების ერთიანობაზე მიგვითითებს.

მეთოდები

საკითხის კვლევისას ვიყენებთ თანამედროვე ისტორიულ მეცნიერებაში აპრობირებულ მეთოდებს. ვახდენთ ქსნის ხეობის შესახებ არსებული წყაროებისა თუ სხვა ისტორიული მასალის კრიტიკულ გააზრებას, რომლის დროსაც გამოყენებულია შინაარსობრივი ანალიზისა და დაკვირვება-შედარების მეთოდები. ანალიზის მეთოდი საშუალებას გვაძლევს წარმოვაჩინოთ სოფელ ხოზოეთში საუკუნეების მანძილზე არსებული ისტორიული, ეკონომიკური, დემოგრაფიული და კულტურული ვითარება. დაკვირვება-შედარების მეთოდი გვეხმარება მოვახდინოთ დემოგრაფიული ნუსხების ერთმანეთთან შედარება და განვსაზღვროთ წლების მიხედვით სოფელში არსებული მოსახლეობის შემადგენლობა. ნაშრომის შეჯამება ხდება კვლევის სისტემური ანალიზით.

შედეგები

ქსნის ხეობის სოფლების ისტორიის კვლევით რამდენიმე წელია დავინტერესდი, სამეცნიერო ხასიათის შრომათა კრებულებში გამოქვეყნდა ჩემი რამდენიმე ათეული სტატია, საკითხის კვლევას მიეძღვნა უკვე გამოცემული ქსნის ხეობის ისტორიის სამტომეული. მიუხედავად ოკუპაციის პირობებში არსებული სიძნელეებისა, ახალგორის მუნიციპალიტეტის სოფლების ტერიტორიების კვლევას მომავალშიც გავაგრძელებ. ჩემთვის, როგორც ქსნის ხეობის მკვიდრისთვის, მშობლიური და ახლობელია იქ არსებული თითოეული სოფელი, შესწავლილი მაქვს მოსახლეობის სოციალური, რელიგიური და ეთნოგრაფიული ყოფა, ეპიგრაფიკული მასალა, ციხე-კოშკები, სალოცავები, რაც გარკვეულ წილად მიადვილებს ჩვენამდე მოღწეული წყაროების გავრცობასა და ფაქტების ახლებურად წარმოჩენას.

ნაშრომში გაანალიზებულია ქსნის ხეობის შესახებ არსებული ისტორიული წყაროები, საერისთავოს სტატისტიკური აღწერილობები, კამერალური და საკავშირო აღწერების მონაცემები, ფოლკლორული მასალა, რომლის საფუძველზეც შესწავლილია სოფელ ხოზოეთში საუკუნეების მანძილზე არსებული დემოგრაფიული და ეკონომიკური ვითარება, მოძიებულია ცნობები იქ არსებული ეკლესია-მონასტრებისა და სოფლის მცხოვრებთა რელიგიური და ეთნოგრაფიული ყოფის შესახებ, ნაჩვენებია მოსახლეობის მიგრაციის მარშუტები.

დისკუსია (მსჯელობა)

გარდა ქაშუეთის ტერიტორიაზე მდებარე სალოცავებისა, ხოზოეთის მოსახლეობას, უშუალოდ სოფელში ჰქონდა რამდენიმე სამლოცველო; სხვადასხვა ზომის ფლეთილი ქვითაა ნაგები შუა საუკუნეების წმინდა ბარბარეს სახელობის დარბაზული ეკლესია, რომელიც გეგმით სწორკუთხა მოხაზულობის იყო. აღმოსავლეთით ჰქონდა ასევე სწორკუთხა საკურთხეველი. აღმოსავლეთ და დასავლეთ კედელში გაჭრილი იყო სარკმლები. შესასვლელი კარი სამხრეთ კედელში უნდა ყოფილიყო. „ნაგებობის კამარა და კონქი ჩამოქცეულია. კედლები შემორჩენილია 2-3 მეტრი სიმაღლეზე, ზოგან უფრო ნაკლებია. ტერიტორიაზე ყრია ჩამონაშალი ქვა" **(დადიანიძე, 2008: 179).** რუსუდან მძინარაშვილის (აწ განსვენებული ჯუმბერ გაროზაშვილის მეუღლე... დაბ. 1952 წელს)

ცნობით: „ხოზუეთის სასაფლაოს ტერიტორიაზე მდებარე წმინდა ბარბარეს სახელობის ტაძარში მიდიოდნენ, როცა ბატონებს მოიხდიდნენ და სწირავდნენ წითელ მამლებს"...

გარდამავალ ხანას მიეკუთვნება მთავარანგელოზის ეკლესია, იგი სოფელში წმინდა გიორგის სახელითაც იყო ცნობილი. როგორც ქალბატონმა ნაირა გაროზაშვილმა (დაბ. 1957 წელს) გვითხრა, 21 ნოემბერს მოსახლეობა მთავარანგელოზობას აღნიშნავდა, 23 ნოემბერს - გიორგობას. ყოველწლიურად ორი ოჯახი ერთიანდებოდა და საკლავს მორიგეობით კლავდნენ... სოფლის უმთავრესი ტაძარი აგებულია ფლეთილი ქვითა და ფიქალით; „გეგმით სწორკუთხა მოხაზულობისაა, სწორკუთხა საკურთხევლის ცენტრში გაჭრილია არქიტავრული სარკმელი. დასავლეთ კედელში მოწყობილია წყვილი, სწორკუთხა ნიშა. კამარა და კონქი ჩამოქცეულია. კედლები შემორჩენილია 2-2,5 მეტრის სიმაღლეზე. არქიტრავული შესასვლელი სამხრეთის კედელშია გაჭრილი." **(დადიანიძე, 2008: 179-180).**

მთავარანგელოზის ეკლესიის სამხრეთ-დასავლეთით 200 მეტრის დაშორებით, შემაღლებულ ადგილზე მდგარა კოშკი. შემორჩენილია მხოლოდ ჩრდილოეთი და დასავლეთი კედლის ფრაგმენტები, კედლის სისქე თითქმის ერთი მეტრი ყოფილა. კოშკს გალავანი ჰქონია გარშემორტყმული, რომელიც დღეს ასევე ფრაგმენტულადაა ჩვენამდე მოღწეული **(დადიანიძე, 2008: 180).**

ქრისტიანულ დღესასწაულებზე დეკანოზი გიგო გაროზაშვილი იყო, იგი, მოგვიანებით, კახეთში გადასახლებულა... ბოლოს ამ საპატიო მისიას სხვადასხვა სალოცავში და სხვადასხვა პერიოდში ასრულებდნენ ლექსო, ჯუმბერ და მორგენ გაროზაშვილები, ტატო და ომარ გამხიტაშვილები... „დეკანოზობა მთიულეთში იგივეა, რაც ფშავში ხევისბერი. აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში, სალოცავების სამსახურში ხევისბერები იდგნენ. ხევისბერის ფუნქციას წარმოადგენდა: ხატობის გაძღოლა, დროშის გამობრძანება, დამწყალობება, დარისხება, სადაო საქმეთა გარჩევა, ომის დროს კი ხევისბერი თემიდან გამოსულ რაზმს მეთაურობდა. მიუხედავად იმისა, რომ ქართული მართლმადიდებელი ეკლესიის წარმომადგენელნი ებრძოდნენ ქართველ მთიელებში არსებულ ღვთისშვილთა რწმენასა და ხევისბერობას, როგორც წარმართობის გადმონაშთს, მათ ხევისბერობა ბოლომდე მაინც ვერ მოშალეს. თუმცა მათ მთიულეთში, ხევსა და თუშეთში მოახერხეს ქართული სიტყვა „ხევისბერის" ჩანაცვლება ბერძნული „დეკანოზით", რაც დღემდე გამოიყენება" **(ჯავახიშვილი, 2021: 37).**

საღვთო საქმე იტვირთა ბიზნესმენმა და ქველმოქმედმა გურამ თევდორეს ძე გაროზაშვილმა, რომელმაც რესტავრაცია ჩაუტარა მამაპაპისეულ წმინდა გიორგის საყდარს, სადაც დღესასწაულებისთვის განკუთვნილი ხატის ჭურჭელი ინახებოდა...

ხალხური გადმოცემით, ხოზოეთის აბორიგენი ანუ მკვიდრი მოსახლეობის - გამხიტაშვილების მთავარი და უძველესი სალოცავი წმინდა გიორგი იყო. როდესაც თემურ-ლენგთან ერთ-ერთ ბრძოლაში ქსნელი რიზია ქვენიფნეველი და მისი მედროშე ოქროპირ გამხიტაშვილი ტყვედ ჩავარდნილან, ოქროპირს „სიზმრად უნახავს სოფელ ხოზოეთის წმინდა გიორგის სალოცავი და თვით წმინდანი, რომელსაც გაუმხნევებია ყმა და ბატონი. ტყვეები მხურვალე ლოცვაში ატარებდნენ დღეებს, საშველი კი არსაიდან ჩანდა. ბოლოს ბატონს ოქროპირთან ერთად შეუფიცნია: ხოზოეთის წმინდა გიორგი, შენი შეწევნითა და მეგზურობით, თუ ტყვეობას დავეხსენით, მაშინ მთელი ჩვენი სიცოცხლის მანძილზე შენი მლოცველნი და მადიდებელნი ვიქნებითო". ტყვეობიდან თავის დახსნის ერთადერთი გზა გამოსასყიდის გადახდა იყო. ამ მიზნით რიზიას ოქროპირი

საერისთავოში გამოუგზავნია. თუ არ დაბრუნდებოდა, მტრის წინაშე საკუთარი სისხლის ფასად აგებდა პასუხს. ქვენიფნეველის მედროშემ ერისთავის სასახლეში მიიტანა ბატონის უსტარი. მთელ სახლეულობას და სახევისთაოების ეკლესია-მონასტრებს, მათ შორის ხოზოეთის წმინდა გიორგის სალოცავს დიდძალი სიმდიდრე გაუღიათ რიზია ქვენიფნეველის გასათავისუფლებლად. ოქროპირმა თათარ-თურქმანებს მიართვა განძეულობა და ტყვეები სიკვდილს გადაურჩნენ. „მშობლიურ ქსანზე მოსულ ბატონს არ დავიწყებია ხოზოეთის წმინდა გიორგისადმი თავისი დანაპირები. ღამისთევობდა, კლავდა კურატებს, ღვინო რუმბებით მიჰქონდა. სწირავდა ხატ-ჯვრებს და სხვა უამრავ შესაწირს. მაგრამ ეს ხდებოდა არა „ქვეყნის გიორგობა დღეს" - 23 ნოემბერს, არამედ ორი დღით ადრე 21-ში, რათა ბატონი ლარგვისშიც დასწრებოდა თავის მამაპაპეულ საძვალე-სალოცავში წირვას, ვინაიდან იქ მღვდელ-მთავარი მას და მის ოჯახის წევრებს ლოცვაში მოიხსენიებდა და როგორც ბატონმა, არ ისურვა ამ ჩვეულების გადაგდება.

გასაგები მიზეზების გამო, ხოზოეთში მცხოვრებმა ოქროპირმა და მთელმა სოფელმა გაითვალისწინა რა ბატონის „კეთილი სურვილები", რამდენიმე დღით ადრე იჭერდნენ თადარიგს საგიორგობოდ. 21 ნოემბერს სოფლის სალოცავში ბატონისგან მოტანილ ჭარბ სანოვაგით სოფლის მოსახლეობა 23 ნოემბერსაც ახერხებდა დღესასწაულის აღნიშვნას. ეს ყველაფერი გრძელდებოდა მანამ, სანამ ბატონი და სეფე ყმა დაიხოცებოდნენ." **(ქენქაძე, 2008: 22-23).** ლეგენდა ლეგენდად რჩება და ბევრი რამეა აქ დასაზუსტებელი, მათ შორის ის ფაქტი, თუ რომელ ქრისტიანულ დღესასწაულს აღნიშნავდა მოსახლეობა 21 ნოემბერს, მთავარანგელოზ მიქაელისა და სხვათა უხორცოთა ზეცისა ძალთა კრების აღნიშვნა IV საუკუნის დასაწყისში გადაუწყვეტიათ ლაოდიკიის ადგილობრივ კრებაზე, რომელიც ნიკეის I მსოფლიო კრებამდე რამდენიმე წლით ადრე ჩატარდა. ლაოდიკიის კრებაზე დაგმეს ანგელოზებისადმი ღვთაებრივი პატივის მიგება და დაამტკიცეს მათი მართლმადიდებლური თაყვანისცემა. მთავარანგელოზობა, ტრადიციულად, ახალი სტილით 21 ნოემბერს აღინიშნება (ძველი სტილით 8 ნოემბერი). ფაქტია, გამხიტაშვილები ოდითგანვე მნიშვნელოვან როლს ასრულებდნენ ქსნის ხეობის ისტორიულ ცხოვრებაში... ოქროპირის სახელი დღემდე შემოინახა ხალხის მეხსიერებამ, მის ნაქონ მამულს სეაფეთას უწოდებდნენ. ხოლო ცხავატის ეკლესიაში ექვთიმე თაყაიშვილის მიერ მიკვლეულ მეთოთხმეტე საუკუნის ოქროს საწინამძღვრო ჯვარზე ამოკვეთილი მხედრული წარწერა გვამცნობს, რომ რიზია ქვენიფნეველს, ტყვეობიდან გათავისუფლების შემდეგ, ღვთისმშობლის ეკლესიისთვის ყმები შეუწირავს: „ქრისტე მაცხოვარო, ცხავატისა, ქვენიფნეველ რიზია ერისთავს შემოუწირავს ორი საკომო მამული ზენუბანს. მამული მთითა, ბარითა, ცხავატის ყოვლად წმინდისათვის. ბასიანში დავტყვევდი და შენის საქონლითა თავი დავიხსენ. არა მებატონემ არ მოშალოს." ვ. ქენქაძის სამართლიანი დასკვნით, რიზია ერისთავი ხოზოეთის ეკლესისთვისაც უხვად გაიღებდა შესაწირს, „მაგრამ, სამწუხაროდ, ხოზოეთის სალოცავიდან ჩვენ არანაირი ხელმოსაკიდი საბუთი არ მოგვეპოვება" **(ქენქაძე, 2008: 25).** თუმცა, ცნობილია, რომ ათეული წლების წინ, მთავარანგელოზის სახელზე მოსახლეობას 3 უღლით 3 დღის სახნავი მიწა შეუწირავს, რომელსაც „განუსაზღვრელი ვადით ხნავდა ერთი კაცი, რომელსაც ევალებოდა ერთი საკლავი და თითო ტომარა მოსავალი ალაოს (ლუდის მასალა) და არაყის დასამზადებლად. ამას ემატებოდა მლოცვლთა მინატანიც გამომცხვარი პურის და ქადის სახით. იმავე სალოცავის სახელზე არსებობდა 30 ძირი თივის „ხატიმთაც". ვინც სამ დღიურ

„ხატიმიწასთან" ერთად ამ სათიბითაც ისარგებლებდა გადასახადი ორ საკლავს შეადგენდა. იმ შემთხვევაში კი, თუ „ხატიმთას" სხვა გათიბავდა, მას მხოლოდ ერთი საკლავი ეკისრებოდა. სასმელი მას არ მოეთხოვებოდა, მას თვით მნათეები ამზადებდნენ. თითოეულ მსმელზე შეწერილი სამი ჩანახი პურით. ასევე მნათეების მოვალეობას შეადგენდა ლუდის დუღება და ქეიფის ორგანიზაცია. საალოეს შეკრება არ ეკისრებოდათ იმათ, ვინც ხატის მიწის მოთხოვნისათვის, სავალდებულო გადასახადს იხდიდა. მნათედ გამოყოფილი სამი კაცი კი თითო საკლავს კლავდა" **(ითონიშვილი, 2003: 110-111).**

XVIII საუკუნის მეორე ნახევრის სამთავისის საყდრის გამოსავლის დავთარის მიხედვით, „ხოზეთს" 7 ოჯახი ცხოვრობდა, გამხიტაშვილები, ოგბაძეები, ხასადრიშვილები და გავროზაშვილები (გაროზაშვილი - დ. ა), რომლებიც არაგვის ხეობიდან არიან გადმოსულები და მიდელაშვილების ბიძაშვილებად მიიჩნევიან. მეორე ვერსიით, რომელიც ჩემმა მასწავლებელმა რუსუდან მძინარაშვილმა მიამბო, გაროზაშვილების გვარი ცნობილი მწიგნობრის ავგაროზ ბანდაისძის სახელს უნდა უკავშირდებოდეს... მისი მემკვიდრეები დასახლებულან ხოზოეთში და დიდი წინაპრის სახელის უკვდავსაყოფად ავგაროზაშვილებად დაწერილან (დროთა განმავლობაში გვარს საწყისი „ავ" ჩამოშორებია). ქალბატონ რუსუდანის ინფორმაციით, რომელიც გაროზაშვილების რძალი გახლავთ, ეს გადმოცემა, უკვე საუკუნეებია ზეპირსიტყვიერად გადაეცემა თაობიდან თაობას და ყველა გაროზაშვილისთვისაა ცნობილი **(ახლოური, 2023: 124, სქოლიო).**

„ხოზეთს **(ჯავახ., 1974: 177)** „ხოზიეთს" **(ქსძ, ტ., III, 1970: 1049)**

ქ. გავროზაშვილის (გავროზაშვილს - ქსძ) შიოს აძეს (როცა არ არის მოხსენიებული, მაშინაც იგულისხმება „მამულს", ივ. ჯ.) ბეგარი: პური ჩანახი ათი, ცხვარი ერთი, თხა ერთი, ქათამი ერთი, კვერცხი ხუთი.

ქ. გამხიტაშვილს გოგიას მამულს აძეს ბეგარი: პური ჩანახი ხუთი, ცხვარი ერთი, ქათამი ერთი, კვერცხი ხუთი.

ქ. გამხიტას-შვილის ივანეს მამულს აძეს ბეგარი: პური ჩანახი ექვსი, ცხვარი ერთი, ქათამი ერთი, კვერცხი ხუთი.

ქ. გამხიტას-შვილის ქიტიას მამულს აძეს ბეგარი: პური ჩანახი რვა, ცხვარი ერთი (ქსძ. - ში მითითებულია „ცხენი ერთი", რაც შეცდომაა, ცხენი გადასახადებში არ ფიქსირდება - დ.ა) ქათამი ერთი, კვერცხი ხუთი.

ქ. ოგბაძის კურდღელას (კურდღელს - ქსძ) მამულს აძეს ბეგარი: პური ჩანახი ათი, ცხვარი ერთი, ქათამი ერთი, კვერცხი ხუთი, თხა ერთი.

ამისი მამული რაც დაფანტული არის, უნდა შევუკრიბოთ.

ქ. ხასადრის-შვილის (ხასადრიშვილს - ქსძ) ოთარის მამულს აძეს ბეგარი: პური ჩანახი სამი, ჩებიჩი ერთი, ქათამი ერთი, კვერცხი ხუთი.

ქ. ჩხიკვის მამულს სძეს: (ტექსტისთვის ადგილია დატოვებული **(ჯავახიშვილი, 1974: 177; ქსძ, ტ., III, 1970: 1049).**

ისინი ბეგარას იხდიან ნატურით - თხის, ცხვრის, ქათმისა და კვერცხის სახით... აღწერაში ყურადსაღებია რამდენიმე მომენტი:

1) გვარი „ხასადრიშვილი" ქსნის ხეობის სხვა აღწერებში აღარ გვხვდება, როგორც ჩანს, სოფლიდან მალევე გადასახლდა;

3) კურდღელა ოგბაძეს უთითებენ, რომ „ამისი მამული რაც დაფანტული არის, უნდა შევკრიბოთო". „დაფანტული მამულები" მთის სოფლებში ბევრს შეიძლება ჰქონოდა. ვგულისხმობ გატეხილ ახოებს, მოსახლეობის მიერ სახნავი ადგილების გაფართოების მიზნით გაჩეხილ ტყეებს, დამუშავებულ დეკიან და იელიან მამულებს.

4) დღევანდელი გვარის ობგაძის თავდაპირველი ფორმაა ოგბაძე, რასაც ქსნის საერისთავოს მოსახლეობის სხვა აღწერებიც ადასტურებს...

საერთოდ, ობგაძე-ობგაიძეთა საგვარეულო სოფელი იყო ოგბანი, რომელიც ცხავატის თემში შედიოდა (არაგვის ხეობა), ამჯერად ნასოფლარია, მოსახლეობის ძირითადი ნაწილი მომიჯნავე სოფლებში - გოგნაურსა და სალაჯურში ჩასახლებულან. ამ გვარის სახელოს წარმოადგენდა ცხავატის თემის გამაერთიანებელი სალოცავის „ცეცხლიჯვრის" დეკანოზობა. გადმოცემით, ერეკლე მეორეს, სწორედ ოგბაიძეებთან შეუფარებია თავი კრწანისის ომის შემდეგ. „მთიულეთის სოფელ ზემო მლეთის მცხოვრები ნინო ნიკოლოზის ასული ოგბაიძე-ბუთხუზისამ (1901-1988) პროფესორ გიორგი ჯავახიშვილთან (1941-2015) საუბარში გაიხსენა: „მამაჩემისგან გამიგონია, რომ სპარსთაგან ჩვენი ქალაქის აღების შემდეგ, მეფე ერეკლეს ოჯახი თავს აფარებდა ჩემს წინაპრებთან ოგბაიძეებთან, რომლებიც ცხავატში მკვიდრობდნენ. მტრის მოახლოების გამო ხელმწიფის ცოლ-შვილი გადმოსულა მლეთაში, სადაც თავი ნაზღაიძეთა ციხეს შეაფარეს. აქედან უფრო ახლოს იყო დარიალი, საიდანაც რუსეთს შეიძლებოდა გახიზვნა. ანანურში მდგარმა მეფემ ამოაკითხა ჯერ ცხავატში და ბოლოს ხადაში შემოხიზნულ თავის ცოლ-შვილს" **(ჯავახიშვილი, 2021: 37-38)...** მოყვანილი ციტატიდან და სოფლის სახელწოდებიდანაც ჩანს გვარის ადრინდელი ფორმა, რომ აღარაფერი ვთქვათ მეთვრამეტე საუკუნის დემოგრაფიულ ნუსხათა მონაცემებზე... მოსახლეობის არაგვის ხეობიდან ქსანზე გადმოსვლა და დამკვიდრება კი უცხო მოვლენა არ იყო ქართლის მთიანეთის ისტორიაში.

1774 წლის ქსნის საერისთავოს სტატისტიკური აღწერილობის მიხედვით ხოზოეთში 5 ოჯახია: 3 - გამხიტაშვილების, 1 - ოგბაძეების და ერთიც - გაროზაშვილების. გამხიტაშვილები 5 მამაკაცია, ოგბაძეები - 2, გაროზაშვილები - 4.

„ხოზოეთს ქსნის ერისთვის ყმა ამავ მოურავის სახელო

ქ. ოგბაძე გიორგის შვილი კომლი ა. თავი ბ. კურდღელა და გრიგოლა

აქავ გამხიტანთ გოდერძის შვილი კომლი ა. თავი ბ. გოდერძი და ივანე

აქავ გამხიტანთ ოქროპირის შვილი კომლი ა. თავი ბ. ხიზანა და ქიტია

აქავ გამხიტანთ შიოს შვილი კომლი ა. თავი ა. ავთანდილ

აქავ გარაზანთ (გაროზანთ - დ.ა.) ფოცხვერის შვილი კომლი. ა თავი დ. შიო ბერი ივანე და გაროზა

იქნა მემკვიდრის ჯამი კომლი ე. თავი ია." **(თაყაიშვილი, 2022: 687; ჯავახიშვილი, 1967: 187).**

1783 წლის აღწერათა მონაცემებით ხოზოეთში კომლების რაოდენობა 7-მდეა გაზრდილი, მამაკაცთა რაოდენობა 15-ია. აღწერაში კომლების ნაწილი მამიშვილობითაა მოხსენიებული.

„ქარჩოხს ხოზოეთიდამ ამისივე სახელო

ქ. ოგბაძე კომლი ა თავი დ კურდღელა გრიგოლა სეხნია და გლახა

აქავ გამხიტას შვილი კომლი ა თავი ა თანდილა

აქავ ფოცხვერის შვილი კომლი ა თავი ა ივანე

აქავ შიოს შვილი კომლი ა თავი ა ავთანდილ

აქავ გამხიტას შვილი კომლი ა თავი დ ხიზანა გლახა ქენქაძე და ქიტია

აქავ გაროზას შვილი კომლი ა თავი გ ბერი ივანე და გაროზა

აქავ ციხელას შვილი კომლი ა თავი ა ირემა

იქნა ჯამი მემკვიდრისა კომლი ზ. თავი ი˜ე. **(თაყაიშვილი, 2022: 653; ჯავახიშვილი, 1967: 210).**

1783 წლის აღწერაში ერთი რამეცაა აღსანიშნავი, გამხიტაშვილის ოჯახში წევრად მოხსენიებულია ქენქაძე, რომელიც მეცხრამეტე საუკუნის აღწერებში სოფლის ერთ-ერთი მეკომლეა. არ მგონია, ქენქაძე ამ შემთხვევაში საკუთარი სახელი ყოფილიყო, შესაძლებელია, იგი გამხიტაშვილებს ნაშვილები ჰყავდათ.

აღწერაში მოხსენიებული სოფელ ხოზოეთის მკვიდრი შიოს შვილი ავთანდილი ერეკლე მეორის დროს შექმნილ მორიგე ლაშქრში ყოფილა გამწესებული. 1774-1800 წლებით დათარიღებულ ზემო ქართლის 58 სოფლიდან გასაყვანი მორიგის დავთარის მიხედვით „ქ. ხოზეთიდამ“ ლაშქარში გაწვეულია „გამხიტაანთ შიოშვილი ავთანდილი“ **(კლიმიაშვილი, 2022: 212).**

იოანე ბატონიშვილის 1803 წლის საუფლისწულო აღწერის შეჯამებითი ცნობებით, ხოზოეთში მცხოვრები 8 კომლიდან 29 კაცია, 16 ქალი **(Акты, 1868: 82)...**

პირველი რუსული კამერალური აღწერით კი ხოზოეთში 9 ოჯახს უცხოვრია, მათ შორის ყველა ქართველია. უნდა ითქვას, რომ გვარ-სახელების მითითების დროს, ვხვდებით მთელ რიგ შეცდომებს, ისეთსაც კი, საქმეში ჩაუხედავი ადამიანი საერთოდ ვერ მიხვდება, რა უნდოდა იქ იმ გვარის ხალხს. ასე, მაგალითად: გაროზაშვილის ნაცვლად მითითებულია ურზულაშვილი და ტრუზაშვილი, ოგბაძის მაგივრად ოხბაძეშვილი, ქენქაძის მაგივრად - ტეკაძე... სამაგიეროდ, ზუსტადაა დასახელებული სოფლის სახელწოდება - ხოზოეთი.

მივყვეთ აღწერას ჩვენეული რედაქტირებით:

1. გრიგორი ოხბაძეშვილი (შვილი ყველა გვარს აქვს დამატებული), უნდა იყოს ოგბაძე (როგორც ერეკლეს დროინდელ აღწერებშია). მის ოჯახში 4 მამაკაცი და 2 ქალია. მათ მფლობელობაშია დღე ნახევრის სახნავი მიწა, 6 დღის სახნავად გამოუყენებელი, 10 თივა. გადაუხდია ნახევარი კოდი (5 ლიტრა) ხორბალი, 1 ცხვარი, ქათამი და 5 კვერცხი. სულ: 1 მანეთი და 52 1/2 კაპიკი.

2. გლახა ოხბაძეშვილი (ოგბაძე - დ.ა.), 1 მამაკაცი, 1 ქალი. მასაც გადახდილი აქვს 1 მანეთი და 52 კაპიკი.

3. ივან ურზულაშვილი (უნდა იყოს ივანე გაროზაშვილი, იგი ნახსენებია 1781 წლის აღწერაში - დ.ა.), 2 მამაკაცი, 3 ქალი, 10 დღის სახნავი მიწა, 10 თივა. სულ გადახდილი აქვს 1 მანეთი და 52 1/2 კაპიკი.

4. ოსიპ ტრუზაშვილი (ოსია გაროზაშვილი - დ.ა.), 8 მამაკაცი, 4 ქალი, 10 დღის სახნავი მიწა, 10 თივა. გადაიხადა 1/2 კოდი ხორბალი, 1 ცხვარი, ქათამი და 5 კვერცხი. სულ: 1 მანეთი და 52 1/2 კაპიკი.

5. სიხარული ტრუზაშვილი (გაროზაშვილი - დ.ა.), 5 მამაკაცი, 4 ქალი, 10 დღის სახნავი მიწა, 10 თივა. სულ გადაიხადა 1 მანეთი და 52 1/2 კაპიკი.

6. გლახა გამხიტაშვილი, 3 მამაკაცი, 2 ქალი, 8 დღის სახნავი მიწა, 5 დღის - სახნავად გამოუყენებელი, 10 თივა. ასევე გადახდილი აქვს 1 მანეთი და 52 1/2 კაპიკი.

7. ივანე გამხიტაშვილი, 4 მამაკაცი, 1 ქალი, 2 დღის სახნავი მიწა, 2 დღის - სახნავად გამოუყენებელი, 5 თივა. გადახდილი აქვს 1/4 კოდი ხორბალი (ორ ნახევარი ლიტრა), 50 კაპიკი, ქათამი და 5 კვერცხი. სულ: 82 1/2 კაპიკი.

8. შიო გამხიტაშვილი, 3 მამაკაცი, 2 ქალი. ასევე გადაუხდია 82 1/2 კაპიკი.

9. ტეტია ტეკაძე შვილი (უნდა იყოს ქიტია ქენქაძე), 6 მამაკაცი, 2 ქალი, 2 დღის სახნავი მიწა, 5 დღის - სახნავად გამოუყენებელი. 10 თივა. გადახდილი აქვს 1/2 კოდი ხორბალი, ცხვარი, ქათამი და 5 კვერცხი. სულ: 1 მანეთი და 52 კაპიკი.

სოფელში უცხოვრია სულ 36 მამაკაცს და 21 ქალს, მათ მფლობელობაშია 47 დღის სახნავი მიწა, 26 დღის - სახნავად გამოუყენებელი, 80 თივა. სახელმწიფოსთვის გადახდილი აქვთ 12 მანეთი და 32 1/2 კაპიკი.

მოსახლეობის უმეტესობა გაროზაშვილები (3 ოჯახი, 15 მამაკაცი, 11 ქალი) და გამხიტაშვილები (3 ოჯახი, 10 მამაკაცი, 5 ქალი) არიან, შემდეგ მოდიან ოგბაძეები (2 ოჯახი, 5 მამაკაცი, 3 ქალი) და ქენქაძეები (ერთი ოჯახი, 6 მამაკაცი, 2 ქალი) **(გსიემ, 1956: 77-78).**

1814 წლის აღწერის მიხედვით ხოზოეთში 12 კომლი ცხოვრობდა:

თავადების შალვა, ელიზბარ და ლუარსაბ ერისთავების მიწაზედ მცხოვრებნი:

1. სოსია ოკბაძე (ოგბაძე) - 1 მამაკაცი, 1 ქალი. 3 დღიური მიწა.

2. გიორგი ოკმაძე (ოგბაძე) - 4 მამაკაცი, 1 ქალი. 3 დღიური მიწა.

3. გლახა ოკმაძე (ოგბაძე) - 2 მამაკაცი, - ქალი. 3 დღიური მიწა.

4. გლახა გამხიტაშვილი - 3 მამაკაცი, 2 ქალი. 8 დღიური მიწა.

თავად შალვა ერისთავის და მისი ძმების მიწაზედ მცხოვრებნი:

1. შიო გამხიტაშვილი - 6 მამაკაცი, 3 ქალი. 4 დღიური მიწა.

2. შიოლა გამხიტაშვილი - 3 მამაკაცი, 1 ქალი. 3 დღიური მიწა.

3. მღვდელი თევდორე თინიკაშვილი - 5 მამაკაცი, 3 ქალი. 6 დღიური მიწა.

4. ნინია უქიტაშვილი - 2 მამაკაცი, 1 ქალი. 3 დღიური მიწა.

5. გიორგი გავროზაშვილი - 7 მამაკაცი, 9 ქალი. 10 დღიური მიწა.

6. გავროზა გავროზაშვილი - 3 მამაკაცი, 3 ქალი. 5 დღიური მიწა.

7. იესე გავროზაშვილი - 5 მამაკაცი, 2 ქალი. 5 დღიური მიწა.

8. ქიტესა გავროზაშვილი - 1 მამაკაცი, 1 ქალი. 10 დღიური მიწა **(სეასცა, ფ. 254, ან. 1, საქმე 367, ფურცელი 154).**

3 კომლი ოგბაძეები არიან (7 მამაკაცი, 2 ქალი), ამუშავებენ 9 დღიურ მიწას, 3 კომლია გამხიტაშვილებიც (12 მამაკაცი, 6 ქალი, 15 დღიური მიწა), 4 კომლი - გავროზაშვილები (გაროზაშვილები) (16 მამაკაცი, 15 ქალი, 30 დღიური მიწა), 1 კომლი - უქიტაშვილები (2 მამაკაცი, 1 ქალი, 3 დღიური მიწა), 1 კომლი სოფელ თინიკაანიდან მოსული მვდელი თევდორე თინიკაშვილის ოჯახია (5 მამაკაცი, 3 ქალი. 6 დღიური მიწა). სულ სოფელში ცხოვრობდა 42 მამაკაცი და 27 ქალი, 69 სული, ამუშავებდნენ 63 დღიურ მიწას. მოსახლეობისა და დღიური მიწების რაოდენობით შესამჩნევადაა გამოკვეთილი გაროზაშვილების დომინირება.

1821 წლის აღწერის მიხედვით, ანანურის მაზრის სოფელ ხოზოეთში ყმები და მამულები ეკუთვნოდათ შანშე და ლევან ერისთავებს:

პოლკოვნიკ თავად შანშე ერისთავის მიწაზე მცხოვრებნი:

კომლი 1. იოსებ შიოს შვილი გავრუზოვი (გავროზაშვილი), მისი მეუღლე (აღწერაში მდედრობითი სქესის წარმომადგენელთა სახელები მითითებული არ არის),

შვილები: 1. გარსევანი, მისი მეუღლე.

2. მახარობელი, მისი მეუღლე - 1 სული.

3. აბრამი.

4. ეგნატე.

სულ ოჯახში 8 სულია, 5 მამრობითი და 3 მდედრობითი სქესის.

კომლი 2. სიხარული ბერის შვილი გავრუზოვი (გავროზაშვილი), მისი მეუღლე - 1 სული, შვილი ქიტესა.

სიხარულის ძმები: 1. გიორგი ბერის შვილი, მისი მეუღლე, შვილი ზურაბი.

2. გოგია ბერის შვილი, მისი მეუღლე, შვილი იოსები.

3. გლახა ბერის შვილი, მისი მეუღლე, შვილი ნინია - 1 სული.

სულ ოჯახში 12 სულია, 8 მამრობითი და 4 მდედრობითი სქესის.

კომლი 3. შიო ივანეს შვილი გამხიტოვი (გამხიტაშვილი), მისი მეუღლე, შვილები: გარსევანი და ნინია.

ძმები: რევაზი და გოგია.

მათი დედა.

სულ ოჯახში 7 სულია, 5 მამრობითი და 2 მდედრობითი სქესის.

კომლი 4. შიო თადილის შვილი გამხიტოვი (გამხიტაშვილი), მისი მეუღლე, შვილი გლახა.

სულ ოჯახში 3 სულია, 2 მამრობითი და 1 მდედრობითი სქესის.

კომლი 5. გავროზა შიოს შვილი გავროზოვი (გავროზაშვილი), მისი მეუღლე.

შვილი ნინია, მისი მეუღლე. ქალიშვილი.

შიოს შვილიშვილი გიორგი.

სულ ოჯახში 6 სულია, 3 მამრობითი და 3 მდედრობითი სქესის.

სულ შანშე ერისთავის მიწაზე ცხოვრობდა 5 კომლი, 23 მამრობითი სქესის და 13 მდედრობითი (36 სული).

თავად ლევან ერისთავის მიწაზე მცხოვრებნი:

კომლი 6. გიორგი გრიგოლის შვილი ოკბაძე (ოგბაძე),

მისი ძმები: სახელა და ბერი.

დედა.

სულ ოჯახში 4 სულია, 3 მამრობითი და 1 მდედრობითი სქესის.

კომლი 7. გლახა კურდღელას შვილი ოკბაძე (ოგბაძე), შვილი გოგია, ქალიშვილი.

სულ ოჯახში 3 სულია, 2 მამრობითი და 1 მდედრობითი სქესის.

კომლი 8. გლახა ხიზანას შვილი გამხიტოვი (გამხიტაშვილი), მისი მეუღლე,

შვილები: 1. შიო, მისი მეუღლე.

2. ზურაბი, მისი მეუღლე.

სულ ოჯახში 6 სულია, 3 მამრობითი და 3 მდედრობითი სქესის.

სულ ლევან ერისთავის მიწაზე ცხოვრობდა 3 კომლი, 8 მამრობითი სქესის და 5 მდედრობითი (13 სული) **(სეასცა, ფ. №254, ან. №1 საქმე №689, ფურცელი 742-745).**

1814 წლის აღწერისგან განსხვავებით, 1821 წლის აღწერაში აღარ ვხვდებით მღვდელი თევდორე თინიკაშვილისა და უქიტაშვილის ოჯახებს. სოფელში მხოლოდ სამი გვარის მოსახლენი იყვნენ: გავროზაშვილები (გაროზაშვილები): 3 კომლი, 16 მამაკაცი, 10 ქალი,

გამხიტაშვილები: 3 კომლი, 10 მამაკაცი, 6 ქალი, ოკბაძეები (ოგბაძეები): 2 კომლი, 5 მამაკაცი, 2 ქალი. სულ სოფელ ხოზოეთში უცხოვრია 8 კომლს, 31 მამრობითი სქესის და 18 მდედრობითი (49 სული).

1831 წლის აღწერაში როგორც მამრობითი, ისე მდედრობითი სქესის მცხოვრებნი სახელებით არიან მოხსენიებულნი, მითითებულია მათი ასაკიც:

სოფელი ხოზოეთი.

შანშე, თორნიკე და გიორგი ერისთავის მიწაზე მცხოვრები ყმა-გლეხები:

კომლი 1. შალვა ივანეს ძე ქენქაძე - 60 წლის, მისი მეუღლე ვარვარა, ქალიშვილები: მაია - 14 წლის, ეფემია - 4 წლის, ნინო - 1 ½ წლის.

სულ ოჯახში 4 სულია, 1 მამრობითი და 3 მდედრობითი სქესის (კომლი 1821 წელს აღწერილია სოფელ ქენქაანის მკვიდრთა შორის, 1831 წლის აღწერაში გადახაზულია).

კომლი 2. შიო ივანეს ძე გამხიტაშვილი - 50 წლის, მისი მეუღლე მარინე - 40 წლის, შვილები: ნინია - 20 წლის, გარსევანი - 15 წლის, გიგოლა - 8 წლის, გიორგი - 5 წლის, ქალიშვილები: თინათინი - 2 წლის, სალომე - 1 წლის.

ნინიას მეუღლე მაია - 15 წლის.

შიოს ძმები: რევაზი - 25 წლის (გარდაცვლილი), გოგია - 20 წლის.

რევაზის მეუღლე მაია - 20 წლის, მათი შვილი აბრამი - 2 წლის (გარდაცვლილი).

გოგიას მეუღლე ქეთევანი - 15 წლის.

შიოს ძმიშვილი სოსია გლახას ძე - 4 წლის.

სულ ოჯახში 15 სულია, 9 მამრობითი და 6 მდედრობითი სქესის.

კომლი 3. შიო გამხიტაშვილის ქვრივი ზიჩანა - 45 წლის, მათი შვილი გლახა (უცოლო) – 20 წლის, ქალიშვილი მარინა - 6 წლის.

სულ ოჯახში 3 სულია, 1 მამრობითი და 2 მდედრობითი სქესის (კომლი გადახაზულია).

კომლი 4. გავროზა გავროზაშვილის ქვრივი ხორეშანი - 50 წლის, მათი შვილები: ნინია - 20 წლის, შიო - 16 წლის, სოლომონ - 12 წლის, თევდორე - 4 წლის, ქალიშვილი ნენე - 6 წლის.

ნინიას მეუღლე ქეთევანი - 20 წლის, მათი შვილი ფოცხვერა - 5 წლის, ქალიშვილები: მაია - 7 წლის, ნენე - 1 ½ წლის.

ნინიას ძმიშვილი გიორგი - 15 წლის (გარდაცვლილი).

სულ ოჯახში 10 სულია, 5 მამრობითი და 5 მდედრობითი სქესის.

კომლი 5. ეგნატე იოსების ძე გავროზაშვილი - 45 წლის (გარდაცვლილი), მისი მეუღლე ელიზავეტა - 20 წლის, ქალიშვილი მაია - 2 წლის.

ეგნატეს ძმები: აბრამი - 25 წლის, მახარობელი - 20 წლის.

მახარობელის მეუღლე ახუა - 20 წლის, მათი შვილი სოსია - 4 წლის (გარდაცვლილი), ქალიშვილი სალომე - 2 წლის.

სულ ოჯახში 9 სულია, 4 მამრობითი და 5 მდედრობითი სქესის.

კომლი 6. სიხარულ გავროზაშვილის ქვრივი დარეჯანი - 50 წლის, მათი შვილი ქიტესა - 25 წლის, მისი მეუღლე მარიამი - 20 წლის.

სიხარულის ძმა გოგია (ქვრივი) – 40 წლის, ამისი შვილი სოსია - 13 წლის.

გოგიას ძმიშვილი ზურაბი - 20 წლის, ზურაბის მეუღლე მართა - 20 წლის, მათი შვილი ბერი - 4 წლის (გარდაცვლილი), ქალიშვილი თინათინი - 1 წლის.

გლახა გავროზაშვილის ქვრივი ხორეშანი - 40 წლის, მათი შვილები: ნინია - 20 წლის, გიგოლა - 8 წლის.

ნინიას მეუღლე მარია - 15 წლის.

სულ ოჯახში 13 სულია, 7 მამრობითი და 6 მდედრობითი სქესის.

თავადების პროპორჩიკ ლევან ერისთავისა და მისი ძმების: რევაზ და დავით ერისთავების მიწაზე მცხოვრები ყმა-გლეხები:

კომლი 1. სახელა გრიგოლის ძე ახბაძე (ოგბაძე) – 25 წლის, მისი მეუღლე ახუა - 20 წლის. მათი შვილები: სიმონი - 5 წლის, გიგოლა - 2 წლის.

სულ ოჯახში 4 სულია, 3 მამრობითი და 1 მდედრობითი სქესის.

კომლი 2. სახელას ძმა ბერი - 23 წლის, მისი მეუღლე დარეჯანი - 20 წლის, შვილი ზაქარია - 1 წლის.

სულ ოჯახში 3 სულია, 2 მამრობითი და 1 მდედრობითი სქესის.

კომლი 3. შიო გლახას ძე გამხიტაშვილი - 50 წლის, მისი მეუღლე ქეთევანი - 40 წლის, მათი შვილები: გიორგი - 8 წლის, გლახა - 5 წლის, ქალიშვილები: ნინო - 4 წლის, ხორეშანი - 3 წლის, ელიზავეტა - ½ წლის.

შიოს ძმა ზურაბი - 40 წლის, მისი მეუღლე მაია - 20 წლის, მათი შვილი ნინია - 7 წლის.

სულ ოჯახში 10 სულია, 5 მამრობითი და 5 მდედრობითი სქესის.

სულ ხოზოეთში ცხოვრობდა 9 კომლი, 38 მამაკაცი და 35 ქალი, 73 სული **(სეასცა, ფ. 254, ან. 1, საქმე 1247, ფურცელი 141-143).** გაროზაშვილები - 3 კომლი, 16 მამაკაცი, 16 ქალი; გამხიტაშვილები - 3 კომლი, 15 მამაკაცი, 13 ქალი, ოგბაძეები - 2 კომლი, 5 მამაკაცი, 2 ქალი, ქენქაძეები - 1 კომლი, 1 მამაკაცი, 3 ქალი.

1842 წლის აღწერით, სოფელ ხოზოეთში თავადების: პოლკოვნიკ შანშე, პოდპოლკოვნიკ თორნიკე და გენერალ-ლეიტენანტ გიორგი ერისთავების მიწაზე ცხოვრობდნენ:

კომლი 1. შიო ივანეს ძე გამხიტაშვილი - 60 წლის, მისი შვილები: ნინია - 30 წლის, გარსევანი - 25 წლის, გიგოლა - 18 წლის, გიორგი - 15 წლის.

შიოს ძმა გოგია - 30 წლის.

შიოს ძმიშვილი სოსია გლახას ძე - 14 წლის.

კომლი 2. ნინია გავროზას ძე გავროზაშვილი - 30 წლის,

მისი ძმები: შიო - 26 წლის, სოლომონი - 22 წლის, თევდორე - 14 წლის.

ნინიას შვილი ფოცხვერა - 14 წლის.

კომლი 3. აბრამ იოსების ძე გავროზაშვილი - 35 წლის.

კომლი 4. ქიტესა სიხარულის ძე გავროზაშვილი - 35 წლის.

მისი ბიძა გოგია - 50 წლის, მისი შვილი სოსია - 23 წლის.

გოგიას ძმიშვილები: ზურაბი - 40 წლის, ნინია - 30 წლის, გიგოლა - 18 წლის.

თავადების: პროპორჩიკ ლევან ერისთავისა და მისი ძმების რევაზ და დავით ერისთავების მიწაზე ცხოვრობდნენ:

კომლი 1. შიო გლახას ძე გამხიტაშვილი - 60 წლის, მისი შვილები: გიორგი - 15 წლის, გლახა - 15 წლის.

შიოს ძმა ზურაბი - 50 წლის, მისი შვილი ალექსი - 17 წლის.

სულ სოფელ ხოზოეთში ცხოვრობდა 5 კომლი, 24 მამრობითი სქესის მცხოვრებით. აღწერის მონაცემებზე პასუხისმგებელი პირია „ხოზოეთის ნაცვალი პავლე პავლეშვილი“, რადგან ამან წერა არ იცოდა, ამის თხოვნით ხელს აწერს გიგოლა ილურიძე **(სეასცა, ფ. 254,**

ან. 1, საქმე 1952, ფურცელი 475-476). გავროზაშვილები (გაროზაშვილები) - 3 კომლია, 12 მამრობითი სქესის, გამხიტაშვილები - 2 კომლი, 10 მამრობითი სქესის. სოფელში ვეღარ ვხვდებით ოგბაძეებს, რომლებიც წინა აღწერების მიხედვით მკვიდრობდნენ ხოზოეთში, მაგრამ მომდევნო კამერალური აღწერის მონაცემებით ჩანს, რომ გიგო სეხნიას ძე ოგბაძის ოჯახი გამორჩენილი იყო.

მომდევნო აღწერა 1860 წლის 16 მარტს ჩატარდა. გორის მაზრაში შემავალ სოფელ ხოზოეთში დავით ლუარსაბის ძე ერისთავის საბატონო მამულზე ცხოვრობდნენ:

კომლი 1. გიგო სეხნიას ძე ოგბიძე (ოგბაძე) - 25 წლის, გაშვებული იყო (გაშვებულში იგულისხმებოდა, წინა 1842 წლის აღწერის დროს გამორჩენილი პირები),

მისი ძმები: 1. შალვა - 20 წლის, 2. გლახა - 13 წლის, ახალშობილი (პირი, რომელიც წინა აღწერის დროს დაბადებული არ იყო).

რიცხვი დედაკაცთა - 1.

კომლი - 1. მამრნი - 3. მდედრნი - 1.

დამოწმებულია თავად დავით ლუარსაბის ძე ერისთავის მიერ.

კამერალური სია შედგენილი 1860 წლის 18 იანვარს.

სოფელ ხოზოეთში თავად ელიზბარ პავლეს ძე ერისთავის საბატონო მამულზე მცხოვრები ყმები (რუსული ტექსტი):

კომლი 1 (2). ნინიკა შიოს ძე გამხიტაშვილი - 55 წლის, მისი შვილები: 1. სოლომონ - 20 წლის, გაშვებული იყო, 2. აბრამ - 15 წლის, ახალშობილი, 3. ლუა - 18 წლის, 4. გაბრიელ - 8 წლის, ახალშობილი.

რიცხვი დედაკაცთა - 4.

კომლი 2 (3). გიგოლა შიოს ძე გამხიტაშვილი - 40 წლის, მისი შვილი პეტრე - 5 წლის, ახალშობილი.

მისი ძმები: 1. ანდრია - 20 წლის, გაშვებული იყო, 2. გიორგი - 25 წლის.

შვილი გიორგისი მახარე - 4 წლის, ახალშობილი.

რიცხვი დედაკაცთა - 5.

კომლი 3 (4). სოსია გლახას ძე გამხიტაშვილი - 70 წლის.

რიცხვი დედაკაცთა - 4.

კომლი 4 (5). ივანე გოგიას ძე გამხიტაშვილი - 20 წლის, გაშვებული იყო,

მისი ძმები: 1. ზაქარა - 15 წლის, ახალშობილი, 2. მოსე - 10 წლის, ახალშობილი.

რიცხვი დედაკაცთა მითითებული არ არის.

კომლი 5 (6). აბრამ რევაზის ძე გამხიტაშვილი - 25 წლის, გაშვებული იყო, მისი შვილი იაკობ - 1 ½ წლის, ახალშობილი.

მისი ძმები: დავით - 20 წლის, 2. შიო - 16 წლის, ახალშობილი.

რიცხვი დედაკაცთა - 2.

კომლი 6 (7). მალხაზ გარსევანის ძე გამხიტაშვილი - 10 წლის, ახალშობილი.

რიცხვი დედაკაცთა - 2.

კომლი 7 (8). აბრამ იოსების ძე გავროზაშვილი (გაროზაშვილი) - 50 წლის, მისი შვილი თევდორე - 3 წლის, ძმიშვილები: 1. სოსიკა ხახას ძე - 35 წლის, გაშვებული იყო,

სოსიკას შვილი ივანე - 5 წლის, ახალშობილი.

2. გარსევან ხახას ძე - 20 წლის, გაშვებული იყო.

რიცხვი დედაკაცთა - 4.

კომლი 8 (9). შიო ნავროზას ძე ნავროზაშვილი (გაროზაშვილი) - 40 წლის, მისი შვილი დათიკა - 8 წლის, ახალშობილი.

შიოს ძმა თევდორე - 30 წლის,

ძმიშვილი გიგო ნინიას ძე - 25 წლის, გაშვებული იყო.

რიცხვი დედაკაცთა - 5.

კომლი - 8. მამრნი - 28. მდედრნი - 26.

დადასტურებულია ელიზბარ პავლეს ძე ერისთავის მიერ.

სოფელ ხოზოეთში თავად ალექსანდრე ერისთავის საბატონო მამულზე მცხოვრები ყმები:

კომლი 1 (10). ქიტესა სიხარულის ძე გავროზა შვილი (გაროზაშვილი) - 50 წლის, გაშვებული იყო, მისი შვილები: 1. აბრამ - 15 წლის, ახალშობილი, 2. სოლომონი - 8 წლის, ახალშობილი, 3. სიხარული - 5 წლის, ახალშობილი.

რიცხვი დედაკაცთა - 1.

კომლი 2 (11). სოსია გოგიას ძე გავროზა შვილი (გაროზაშვილი)- 45 წლის, მისი შვილი ანდრია - 3 წლის, ახალშობილი.

ძმები სოსიასი: 1. სიხარული - 30 წლის, გაშვებული იყო, 2. გიორგი - 15 წლის, ახალშობილი.

რიცხვი დედაკაცთა - 3.

კომლი 3 (12). ზურაბ გიორგის ძე გავროზა შვილი (გაროზაშვილი) - 80 წლის, მისი შვილი ზაქარა - 16 წლის, ახალშობილი.

ბიძაშვილები ზურაბისა: 1. გიგოლა - 20 წლის, 2. ნინიკა - 46 წლის.

ნინიკას შვილები: 1. თევდორე - 10 წლის, ახალშობილი, 2. გოგია - 5 წლის, ახალშობილი.

რიცხვი დედაკაცთა მითითებული არ არის.

კომლი - 3. მამრნი - 14. მდედრნი - 4.

დაზუსტებულია ნაცვალის სოსიკა კარელიძის და აღმორჩეული პირების: გიორგი გამხიტაშვილისა და ქიტესა გაროზაშვილის მიერ, რადგან ამათ წერა არ იცოდნენ, ამათი თხოვნით ხელს აწერს ისაკ დურგლი შვილი (ხელმოწერილია).

სოფელ ხოზოეთში თავად რევაზ ლუარსაბის ძე ერისთავის საბატონო მამულზე მცხოვრები ყმები (რუსული ტექსტი):

კომლი 1 (13). ნინიკა ზურაბის ძე გამხიტაშვილი - 30 წლის, მისი შვილები: 1. გლახა - 7 წლის, ახალშობილი, 2. სოსიკა - 2 წლის, ახალშობილი.

რიცხვი დედაკაცთა - 1.

კომლი - 1. მამრნი - 3. მდედრნი - 1.

დადასტურებულია გიორგი დვანაძის მიერ.

სულ სოფელ ხოზოეთში ცხოვრობდა 13 კომლი, 48 მამრობითი სქესის და 32 მდედრობითი (80 სული) **(სეასცა, ფ. 254, ან. 2, საქმე 252, ფურ. 461-468).** გამხიტაშვილები - 7 კომლი, 22 მამრობითი სქესის, 18 მდედრობითი, გავროზაშვილები (გაროზაშვილები) – 5 კომლია, 23 მამრობითი სქესის, 13 მდედრობითი, ოგბაძეები - 1 კომლი, 3 მამრობითი, 1 მდედრობითი სქესის.

1873 წლის მონაცემებით ხოზოეთი ტფილისის გუბერნიის დუშეთის მაზრის ახალდაბის საზოგადოებაში შედიოდა. თავად დავით ერისთავის მიწაზე ცხოვრობდნენ დროებით ვალდებული გლეხები:

კომლი 1. გიგო სეხნიას ძე ოგბაძე - 38 წლის, მისი შვილები: გიორგი - 8 წლის, ახალშობილი, დათიკა - 4 წლის, ახალშობილი.

ძმები გიგოსი: შალვა - 33 წლის, გლახა - 26 წლის.

შვილი შალვასი სვიმონი - 9 წლის, ახალშობილი.

სულ ოჯახში 11 სულია: 6 მამრობითი და 5 მდედრობითი სქესის.

თავად ივანე ელიზბარის ძე ერისთავის მიწაზე მცხოვრებნი:

კომლი 2. აბრამ ნინიკას ძე გამხიტაშვილი - 38 წლის, მისი შვილი ნიკო - 5 წლის, ახალშობილი.

ძმები აბრამისა: გაბრიელი - 21 წლის, მათე - 13 წლის, ახალშობილი.

შვილი გაბრიელისა სვიმონი - 2 წლის, ახალშობილი.

სულ ოჯახში 10 სულია: 5 მამრობითი და 5 მდედრობითი სქესის.

კომლი 3. გიგოლა შიოს ძე გამხიტაშვილი - 53 წლის, მისი შვილები: პეტრე - 18 წლის, ქიტო - 10 წლის, ახალშობილი, ზაქარა - 7 წლის, ახალშობილი, შიო - 4 წლის, ახალშობილი.

ძმები გიგოლასი: გიორგი - 38 წლის, ანდრია - 33 წლის.

შვილნი გიორგისა: მახარე - 17 წლის, მიხეილი - 6 წლის, ახალშობილი, ტარო - 5 წლის, ახალშობილი, სვიმონი - 3 წლის, ახალშობილი.

შვილნი ანდრიასი: როსტომი - 3 წლის, ახალშობილი, გიგო - 1 წლის, ახალშობილი.

სულ ოჯახში 19 სულია: 13 მამრობითი და 6 მდედრობითი სქესის.

კომლი 4. ივანე გოგიას ძე გამხიტაშვილი - 33 წლის, მისი შვილი ნიკო - 1 წლის, ახალშობილი.

ძმები ივანესი: ზაქარა - 28 წლის, მოსე - 23 წლის.

სულ ოჯახში 8 სულია: 4 მამრობითი და 4 მდედრობითი სქესის.

კომლი 5. აბრამ რევაზის ძე გამხიტაშვილი - 38 წლის, მისი შვილები: იაკობ - 14 წლის, რევაზ - 8 წლის, ახალშობილი, გიგო - 5 წლის, ახალშობილი, გაბრიელი - 1 წლის, ახალშობილი.

ძმები აბრამისა: დავითი - 33 წლის, შიო - 29 წლის.

შვილნი დავითისა: ბერო - 4 ახალშობილი, გოგია - 2 ახალშობილი.

სულ ოჯახში 15 სულია: 9 მამრობითი და 6 მდედრობითი სქესის.

კომლი 6. მალხაზ გარსევანის ძე გამხიტაშვილი - 23 წლის, მისი შვილი გარსევან - 2 წლის, ახალშობილი.

სულ ოჯახში 4 სულია: 2 მამრობითი და 2 მდედრობითი სქესის.

კომლი 7. სოსიკა ხახას ძე გავროზაშვილი - 38 წლის, მისი შვილები: ივანე - 18 წლის, ზაქარა - 3 წლის, ახალშობილი.

ბიძაშვილი სოსიკასი გარსევან ეგნატეს ძე - 33 წლის,

შვილი გარსევანისა ალექსი - 4 წლის, ახალშობილი.

ბიძაშვილი სოსიკასი თედო აბრამის ძე - 16 წლის.

სულ ოჯახში 10 სულია: 6 მამრობითი და 4 მდედრობითი სქესის.

კომლი 8. გიგო ნინიას ძე გავროზაშვილი - 38 წლის, მისი შვილები: ნიკო - 3 წლის, ახალშობილი, სოლომონი - 1 წლის, ახალშობილი.

ბიძაშვილნი გიგოსი, შიოს ძენი: დათიკა - 21 წლის, გაბრიელ - 15 წლის, გაშვებული იყო.

სულ ოჯახში 7 სულია: 5 მამრობითი და 2 მდედრობითი სქესის.

პოლკოვნიკ თავად ალექსანდრე ერისთავის მიწაზე მცხოვრებნი:

კომლი 9. ქიტესა სიხარულის ძე გავროზაშვილი - 63 წლის, მისი შვილი სოლომონ - 21 წლის, შვილი სოლომონისა გიორგი - 1 წლის, ახალშობილი.

შვილის შვილი ქიტესასი, ივანე აბრამის ძე - 5 წლის, ახალშობილი

სულ ოჯახში 6 სულია: 4 მამრობითი და 2 მდედრობითი სქესის.

კომლი 10. სიხა გოგიას ძე გავროზაშვილი - 58 წლის, მისი შვილები: ნიკო - 7 წლის, ახალშობილი, ივანე - 5 წლის, ახალშობილი, გიორგი - 3 წლის, ახალშობილი, გიგო - 1 წლის, ახალშობილი.

სულ ოჯახში 7 სულია: 5 მამრობითი და 2 მდედრობითი სქესის.

კომლი 11. გოგილა გოგიას ძე (წაშლილია გლახას ძე - დ.ა.) გავროზაშვილი - 38 წლის, ძმისწულნი გიგოლასი, ნინიკას ძენი: თევდორე - 23 წლის, გოგია- 18 წლის, ტარიელი - 13 წლის, ახალშობილი, იაკობი - 10 წლის, ახალშობილი.

შვილნი თევდორესი: ბერო - 3 წლის, ახალშობილი, გლახა - 2 წლის, ახალშობილი.

სულ ოჯახში 12 სულია: 7 მამრობითი და 5 მდედრობითი სქესის.

თავად რევაზ ლუარსაბის ძის ერისთავის მიწაზე მცხოვრებნი:

კომლი 12. ნინიკა ზურაბის ძე გამხიტაშვილი - 23 წლის, მისი შვილები: სოსიკა - 15 წლის, ზაქარია - 5 წლის, ახალშობილი.

სულ ოჯახში 4 სულია: 3 მამრობითი და 1 მდედრობითი სქესის.

სრულებით დროებით ვალდებულნი გლეხნი 12 კომლი, 69 სული მამრი და 44 მდედრი (113 სული), სულ ქართველნი, მართლმადიდებელი ქრისტიანები.

აღწერას ახლავს მინაწერი: „ყველა ამ სიით ნაჩვენები კომლნი და სულნი, რომელნიც იყვნენ თვალად 10 აგვისტოს, 1873 წლისა, ნაჩვენებნი არიან სისწორით და გაშვებული არავინ, არავინ (ორჯერ წერია - დ.ა.) არის. გარნა თუ აღმოჩნდეს, მაშინ უნდა შევვარდეთ პასუხის გებაში საფუძველზედ კანონებისა წარმოებისთვის აწინდელის კამერალნის აღწერისა, რომელსაზედაც ხელს მოვაწერთ სოსია თინიკაშვილი, გიგოლა ბალხამიშვილი, აღდგომელა მიდელაშვილი. რადგან ამათ წერა არ იცოდნენ, ამათის თხოვნით ხელს ვაწერ მიხეილ ჟღენტი“. დამოწმებულია ახალდაბის საზოგადოების მამასახლისის გიგო კარელიძის ბეჭდით **(სეასცა, ფ. 254 ან. 2, საქმე 265. ფურცელი 41-52).** მცხოვრებთაგან 6 კომლი გამხიტაშვილები იყვნენ, 36 მამაკაცი, 24 ქალი; გავროზაშვილები (გაროზაშვილები) – 5 კომლი, 27 მამაკაცი, 15 ქალი, ოგბაძეები - 1 კომლი, 6 მამაკაცი, 5 ქალი.

1886 წლის რუსული კამერალური აღწერის საოჯახო სიებში მამრობითი სქესის წარმომადგენლებს სამი ასაკი აქვთ მითითებული: 1. აღნიშნავს წლოვანებას წინა 1873 წლის აღწერის მიხედვით; 2. „ვარაუდით, ასე შეხედვით რამდენის წლისა არის“; 3. წლოვანობა, რამდენისა არის 1 იანვარს, 1886 წლისა.

აღწერის მიხედვით, რომელიც 19 ივნისს ჩატარებულა, დუშეთის მაზრის ახალდაბის საზოგადოების სოფელ ხოზოეთში ცხოვრობდნენ:

კომლი 1 (1) (ფრჩხილებში მითითებული ციფრი მიგვანიშნებს წინა აღწერის ნომერს). ოგბაიძე გიგო სეხნიას ძე - 38 წლის, 51 წლის, 50 წლის,

მისი შვილები: გიორგი - 8 წლის, 21 წლის, 20 წლის, დათიკა - 4 წლის, 17 წლის, 16 წლის, გიგოს მეუღლე მაია - 45 წლის, მათი ქალიშვილები: ანნა - 9 წლის, თებრო - 5 წლის.

სულ ოჯახში 6 სულია: 3 მამრობითი და 3 მდედრობითი სქესის.

კომლი 2 (1). ოგბაიძე შალვა სეხნიას ძე - 33 წლის, 46 წლის, 45 წლის,

მისი შვილები: სიმონი - 9 წლის, 22 წლის, 21 წლის, შალვას მეუღლე მაია - 39 წლის, მათი ქალიშვილები: ტასო - 15 წლის, ნუცა - 10 წლის, სონა - 3 წლის.

სულ ოჯახში 6 სულია: 3 მამრობითი და 3 მდედრობითი სქესის.

კომლი 3 (1). ოგბაიძე გლახა სეხნიას ძე - 26 წლის, 39 წლის, 38 წლის,

მისი შვილები: აბრამ - დაბადებული არ იყო, 10 წლის, 9 წლის, მიხაკა - დაბადებული არ იყო, 5 წლის, 4 წლის, კოლია - დაბადებული არ იყო, 1 წლის, 5 თვის.

გლახას მეუღლე მართა - 28 წლის, მათი ქალიშვილი მარო - 6 წლის.

სულ ოჯახში 6 სულია: 4 მამრობითი და 2 მდედრობითი სქესის.

კომლი 4 (3). გამხიტაშვილი ანდრია შიოს ძე - 33 წლის, 46 წლის, 45 წლის,

მისი შვილები: როსტომი - 3 წლის, 16 წლის, 15 წლის, გიგო - 1 წლის, 14 წლის, 13 წლის.

ანდრიას ძმიშვილები, გიგოლას ძენი: ქიტო - 10 წლის, 23 წლის, 22 წლის, ზაქარია - 7 წლის, 20 წლის, 19 წლის, შიო - 4 წლის, 17 წლის, 16 წლის,

გიორგის ძენი: მახარე - 17 წლის, 30 წლის, 29 წლის, სიმონ - 3 წლის, 16 წლის, 15 წლის, მიხეილ - 6 წლის, 19 წლის, 18 წლის,

მახარეს შვილი კოლია - დაბადებული არ იყო, 6 თვის,

ანდრიას მეუღლე ბაბალე - 35 წლის, მათი ქალიშვილები: მელო - 12 წლის, ერლონია - 7 წლის.

როსტომის მეუღლე სოფო - 15 წლის,

ანდრიას ძმიშვილები: სიდო - 12 წლის, მართა - 5 წლის, ნინო - 3 წლის,

მახარეს მელო - 21 წლის, მათი ქალიშვილი მაშო - 3 წლის.

მახარეს დედა ნინო - 57 წლის.

სულ ოჯახში 20 სულია: 10 მამრობითი და 10 მდედრობითი სქესის.

კომლი 5 (4). გამხიტაშვილი ივანე გოგიას ძე - 33 წლის, 46 წლის, 45 წლის,

მისი შვილები: გიგო - 1 წლის, 14 წლის, 13 წლის, ნიკო - დაბადებული არ იყო, 7 წლის, 6 წლის.

ივანეს ძმები: ზაქარია - 28 წლის, 41 წლის, 40 წლის, მოსე - 23 წლის, 36 წლის, 35 წლის,

ზაქარიას შვილი თედო - დაბადებული არ იყო, 3 წლის, 2 წლის,

ივანეს მეუღლე მაგდანა - 40 წლის, მათი ქალიშვილები: ქეთო - 6 წლის, სოფო - 4 წლის, მაშო - 2 წლის.

ზაქარიას მეუღლე ანნა - 29 წლის, მათი ქალიშვილი ლიზა - 2 წლის.

სულ ოჯახში 12 სულია: 6 მამრობითი და 6 მდედრობითი სქესის.

კომლი 6 (2). გამხიტაშვილი გაბრიელ ნინიკას ძე - 21 წლის, 34 წლის, 33 წლის,

მისი შვილი სიმონი - 2 წლის, 15 წლის, 14 წლის,

გაბრიელის ძმა მათე - 13 წლის, 26 წლის, 25 წლის, ამისი შვილები: აბრამ - დაბადებული არ იყო, 5 წლის, 4 წლის, შაშო - დაბადებული არ იყო, 3 წლის, 2 წლის.

გაბრიელის ძმიშვილი ნიკო აბრამის ძე - 5 წლის, 18 წლის, 17 წლის,

გაბრიელის მეუღლე სიდო - 30 წლის, მათი ქალიშვილები: ლიზა - 7 წლის, ნინო - 1 წლის.

მათეს მეუღლე მელანო - 25 წლის, მათი ქალიშვილი კეკე - 5 წლის.

ნიკოს დედა სოფია - 40 წლის, მისი ქალიშვილი ანნა - 12 წლის.

სულ ოჯახში 13 სულია: 6 მამრობითი და 7 მდედრობითი სქესის.

კომლი 7 (13). გამხიტაშვილი სოლომონ ივანეს ძე - მითითებული არ არის, 40 წლის, 39 წლის,

ამისი შვილები: ბესო - მითითებული არ არის, 20 წლის, 19 წლის, შალვა - მითითებული არ არის, 18 წლის, 17 წლის.

სოლომონის ძმა ლუარსაბი - მითითებული არ არის, 38 წლის, 37 წლის,

მისი შვილები: დათო - დაბადებული არ იყო, 12 წლის, 11 წლის, გლახა - დაბადებული არ იყო, 7 წლის, 6 წლის.

მოსეს შვილი მიხა - დაბადებული არ იყო, 5 წლის, 4 წლის.

სოლომონის მეუღლე მელო - 40 წლის, მათი ქალიშვილი მაგდანა - 12 წლის,

ბესოს მეუღლე თებრო - 20 წლის, მათი ქალიშვილი სონა - 2 წლის.

ლუარსაბის ქალიშვილები: ნატო - 10 წლის, ნინო - 6 წლის.

სულ ოჯახში 13 სულია: 7 მამრობითი და 6 მდედრობითი სქესის.

კომლი 8 (5). გამხიტაშვილი აბრამ რევაზის ძე - 38 წლის, 57 წლის, 50 წლის,

მისი შვილები: იაკობ - 14 წლის, 27 წლის, 26 წლის, რევაზი - 8 წლის, 21 წლის, 20 წლის, გიგო - 5 წლის, 18 წლის, 17 წლის, გაბრიელი - 1 წლის, 14 წლის, 13 წლის.

იაკობის შვილი ლექსო - დაბადებული არ იყო, 5 წლის, 4 წლის.

აბრამის მეუღლე სოფო - 49 წლის, მათი ქალიშვილები: თალოლა - 15 წლის, მართა – 8 წლის.

იაკობის მეუღლე სონია - 20 წლის, რევაზის მეუღლე მართა - 17 წლის.

სულ ოჯახში 11 სულია: 6 მამრობითი და 5 მდედრობითი სქესის.

კომლი 9 (5). გამხიტაშვილი შიო რევაზის ძე - 29 წლის, 42 წლის, 41 წლის,

მისი შვილი ანდრია - დაბადებული არ იყო, 3 წლის, 2 წლის.

შიოს ძმიშვილები, დავითის ძენი: ბერო - 4 წლის, 17 წლის, 16 წლის, გოგია - 2 წლის, 15 წლის, 14 წლის, დიმიტრი - დაბადებული არ იყო, 7 წლის, 6 წლის, ვანო - დაბადებული არ იყო, 6 წლის, 5 წლის.

შიოს მეუღლე ნენე - 40 წლის, მათი ქალიშვილი ნინო - 8 წლის.

ბეროს დედა ნინო – 35 წლის.

სულ ოჯახში 9 სულია: 6 მამრობითი და 3 მდედრობითი სქესის.

კომლი 10 (6). გამხიტაშვილი მალხაზ გარსევანის ძე - 23 წლის, 36 წლის, 35 წლის,

მისი შვილები: გარსევანი - 2 წლის, 15 წლის, 14 წლის, ვანო - დაბადებული არ იყო, 5 წლის, 4 წლის.

მალხაზის მეუღლე მაია - 30 წლის, მათი ქალიშვილი პელო - 4 წლის.

სულ ოჯახში 5 სულია: 3 მამრობითი და 2 მდედრობითი სქესის.

კომლი 11 (7). გავროზაშვილი სოსიკა ხახას ძე - 38 წლის, 51 წლის, 50 წლის,

მისი შვილები: ივანე - 18 წლის, 31 წლის, 30 წლის, ზაქარია - 3 წლის, 16 წლის, 15 წლის.

ივანეს შვილები: მათე - დაბადებული არ იყო, 5 წლის, 4 წლის, პავლე - დაბადებული 1885 წლის ოქტომბერში, 8 თვის.

ივანეს მეუღლე ტასო - 25 წლის, მათი ქალიშვილი ევა - 3 წლის.

სულ ოჯახში 7 სულია: 5 მამრობითი და 2 მდედრობითი სქესის.

კომლი 12 (7). გავროზაშვილი გარსევან ეგნატეს ძე - 33 წლის, 46 წლის, 45 წლის,

მისი შვილი ალექსი - 4 წლის, 17 წლის, 16 წლის.

გარსევანის მეუღლე სოფო - 30 წლის, მათი ქალიშვილი ბაბალე - 10 წლის.

სულ ოჯახში 4 სულია: 2 მამრობითი და 2 მდედრობითი სქესის.

კომლი 13 (9). გავროზაშვილი სოლომონ ქიტესას ძე - 21 წლის, 34 წლის, 33 წლის,

მისი შვილი მათე - დაბადებული არ იყო, 7 წლის, 6 წლის.

სოლომონის ძმიშვილი ივანე აბრამის ძე - 5 წლის, 18 წლის, 17 წლის.

სოლომონის მეუღლე ნატო - 28 წლის, მათი ქალიშვილები: ნინო - 10 წლის, სოფო - 8 წლის, თამარი - 2 წლის.

სოლომონის დედა მარიამი - 70 წლის.

სულ ოჯახში 8 სულია: 3 მამრობითი და 5 მდედრობითი სქესის.

კომლი 14 (11). გავროზაშვილი ნიკო სიხას ძე - 7 წლის, 20 წლის, 19 წლის,

მისი ძმები: ივანე - 5 წლის, 18 წლის, 17 წლის, გიორგი - 3 წლის, 16 წლის, 15 წლის, გიგო - 1 წლის, 14 წლის, 13 წლის, სოსე - დაბადებული არ იყო, 8 წლის, 7 წლის.

ნიკოს მეუღლე ქეთო - 15 წლის.

სულ ოჯახში 6 სულია: 5 მამრობითი და 1 მდედრობითი სქესის.

კომლი 15 (12). გამხიტაშვილი ნინიკა ივანეს ძე - 63 წლის, 76 წლის, 75 წლის,

მისი შვილები: სოსიკა - 15 წლის, 28 წლის, 27 წლის, ზაქარია - 5 წლის, 18 წლის, 17 წლის.

სოსიკას მეუღლე ანნა - 15 წლის.

სულ ოჯახში 4 სულია: 3 მამრობითი და 1 მდედრობითი სქესის.

კომლი 16 (10). გავროზაშვილი გიგოლა გოგიას ძე - 38 წლის, 51 წლის, 50 წლის,

მისი ძმიშვილები, ნინიკას ძენი: გოგია - 18 წლის, 31 წლის, 30 წლის, ტარიელ - 13 წლის, 26 წლის, 25 წლის, იაკობ - 10 წლის, 23 წლის, 22 წლის.

გოგიას შვილები: გიორგი - დაბადებული არ იყო, 7 წლის, 6 წლის, იასონი - დაბადებული არ იყო, 4 წლის, 3 წლის, ნასყიდა - დაბადებული არ იყო, 3 წლის, 2 წლის.

გოგიას მეუღლე მაგდანა - 27 წლის.

ტარიელის მეუღლე მაია - 18 წლის, მათი ქალიშვილი მაშო - 4 წლის,

იაკობის მეუღლე ნინო - 16 წლის.

სულ ოჯახში 11 სულია: 7 მამრობითი და 4 მდედრობითი სქესის.

კომლი 17 (10). გავროზაშვილი თევდორე ნინიკას ძე - 23 წლის, 36 წლის, 35 წლის,

მისი შვილები: ბესო - 3 წლის, 16 წლის, 15 წლის, გლახა - 2 წლის, 15 წლის, 14 წლის, დავით - დაბადებული არ იყო, 7 წლის, 6 წლის, სერგო - დაბადებული არ იყო, 3 წლის, 2 წლის.

თევდორეს მეუღლე მაგდანა - 30 წლის, მათი ქალიშვილი ნენე - 14 წლის.

სულ ოჯახში 7 სულია: 5 მამრობითი და 2 მდედრობითი სქესის.

კომლი 18 (8). გავროზაშვილი გაბრიელ შიოს ძე - 15 წლის, 28 წლის, 27 წლის,

მისი შვილი კოლია - დაბადებული არ იყო, 2 წლის, 1 წლის.

გაბრიელის ბიძაშვილები, გიგოს ძენი: ნიკო - 3 წლის, 16 წლის, 15 წლის, სოლომონი - 1 წლის, 14 წლის, 13 წლის.

გაბრიელის მეუღლე ეფემია - 17 წლის.

ნიკოს დედა - მარგო (მარგარიტა) - 35 წლის.

სულ ოჯახში 6 სულია: 4 მამრობითი და 2 მდედრობითი სქესის.

კომლი 19 (8). გავროზაშვილი დათიკო შიოს ძე - 21 წლის, 34 წლის, 33 წლის.

სულ ოჯახში 1 სულია მამრობითი სქესის **(სეასცა, ფ. 254 ან. 3, საქმე №1821, ფურცელი 1-13).**

როგორც ვხედავთ, მეცხრამეტე საუკუნის მიწურულს ხოზოეთის მცხოვრებთა რიცხვი მკვეთრადაა გაზრდილი, სოფელში ცხოვრობდა 19 კომლი, 88 მამრობითი სქესის და 67 მდედრობითი (155 სული). ყველა ქართველი, მართლმადიდებელი ქრისტიანები. ამ დროისთვის უკვე შესამჩნევია გამხიტაშვილების დომინაცია, 19 კომლიდან 8 კომლი გამხიტაშვილები იყვნენ, 45 მამაკაცი, 39 ქალი, 8 კომლია გაროზაშვილებიც, თუმცა სულთა რაოდენობით გამხიტაშვილებს მკვეთრად ჩამორჩებიან - 32 მამაკაცი, 18 ქალი. წყაროში ამჯერად ობგაიძეებადაა მოხსენიებულნი ობგაძეები - 3 კომლია, 16 მამაკაცი, 8 ქალი. გამხიტაშვილების გვარში რამდენიმე დიდი ოჯახია, მაგალითად ანდრია შიოს ძე ოცსულიანი ოჯახის უფროსი იყო, გაბრიელ ნინიკას ძე - ცამეტსულიანი, სოლომონ ივანეს ძე ასევე - 13 სულიანი, ივანე გიორგის ძე - თორმეტსულიანი, აბრამ რევაზის ძე - თერთმეტსულიანი... დიდ ოჯახს ვხვდებით გაროზაშვილებშიც, გიგოლა გოგიას ძის ოჯახში 7 მამაკაცი და 4 ქალია აღრიცხული (11 სული), რაც კომლების გაუყრელად ცხოვრებაზე მიგვანიშნებს.

სრულიად საქართველოს 1923 წლის სასოფლო-სამეურნეო აღწერის მონაცემებით, ხოზოეთში, რომელიც წყაროში მოხსენიებულია როგორც ხაზუეთი, 26 კომლი ცხოვრობდა, 39 მამაკაცი და 72 ქალი (111 სული) **(საქართველოს 1923 წლის აღწერის ჯამები, 1926: 168).** 1939 საკავშირო აღწერის დროს, ქარჩოხის სასოფლო საბჭოში შემავალ „ხოზუეთში“ 154 მცხოვრები იყო, 87 მამაკაცი, 67 ქალი. 1959 წლის აღწერით - 89 სული, 1970 წელს - 51 სული, 14 მამაკაცი, 37 ქალი, 1979 წელს - 33 სული, 15 მამაკაცი, 18 ქალი, 1989 წლის აღწერის დროს კი ხოზოეთი უკვე ნასოფლარია **(საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, 2020).**

უნდა ითქვას, რომ XX საუკუნის შუა წლებში ხოზოეთი, მთის სოფლების კვალობაზე, საკმაოდ დიდი დასახლება ყოფილა. „ომის დროს (იგულისხმება მეორე მსოფლიო ომი) ჩვენ სოფელში 42 კომლი ცხოვრობდაო" - იხსენებს მამის - მათე გამხიტაშვილის მოგონებას ომარ გამხიტაშვილი (დაბ. 1952 წელს)... ხოზოეთი რომ ქარჩოხის ხეობაში ყველაზე ხალხმრავალი სოფელი იყო, ამაზე ვ. ქენქაძეც მიგვითითებს: „ძველების" თქმით საღამოს სოფლის ბოლოს, მამულებში რომ მივიდოდა კაცი, ქალაქის მსგავსად ხალხის ხმაური ისმოდა. ასეთი სიძლიერე და ხალხმრავლობა ხოზოეთმა მეორე მსოფლიო ომამდე შეინარჩუნა. ბუნებრივია, აქედან ომშიც ყველაზე მეტი წავიდოდა და სამწუხაროდ, ყველაზე მეტიც დაიღუპებოდა" **(ქენქაძე, 2010: 164).** სოფლიდან 26 ადამიანი გაუწვევიათ ფაშიზმის წინააღმდეგ საბრძოლველად, მათგან მხოლოდ 4 დაბრუნებულა, მათე ოთხი გადარჩენილი მებრძოლიდან ერთ-ერთი იყო... ასეთი მსხვერპლი, რა თქმა უნდა, მძიმე დაღად დააჩნდებოდა ერთ დროს ხმაურიან სოფელს...

ომის დამთავრების შემდეგ, მთის გაუტეხელი ხალხი ისევ შესდგომია ახალ ცხოვრებას, სოფელში მშრალი და მსხვილფეხა საქონლის გამოსაზამთრებლად კოლმეურნეობის თავლაც ყოფილა მოწყობილი...

გასული საუკუნის 70-იანი წლების ბოლომდე ხოზოეთში ჯერ კიდევ ცხოვრობდა რამდენიმე კომლი. გამხიტაშვილებთან, გაროზაშვილებთან და ობგაძეებთან ერთად თითო კომლი იყვნენ ბალაშვილები, პავლიაშვილები და წიპტაურები. სოფლის ბოლო მოსახლენი გაროზაშვილები და გამხიტაშვილები იყვნენ, რომლებიც შედარებით ბარის სოფლებში - ქენქაანსა და მიდელაანში ჩამოსახლდნენ. ეს პროცესი, ფაქტიურად, XX საუკუნის 90-იან წლებამდე დასრულდა.

უგზოობით შეწუხებულ სოფელში, კომუნისტებს გზა მაშინ გაუყვანიათ, როცა იქ აღარავინ ცხოვრობდა **(ქენქაძე, 2010: 164).** ეს გზა მათ, აქ მოპოვებული საქონლის საკვების ბარში დასაბინავებლად სჭირდებოდათ...

2016 წლის მოსახლეობის საყოველთაო აღწერის მონაცემებით, საქართველოში სულ 610 გამხიტაშვილია, თბილისში ცხოვრობს - 236, ქუთაისში - 4, ბათუმში - 1, გორში - 34, რუსთავში - 16, ქობულეთში - 1, გალში - 1, ოზურგეთში - 10, თელავში - 8, სოხუმში - 1, გურჯაანში - 7, ხაშურში - 1, საგარეჯოში - 1, ხელვაჩაურში - 1, წყალტუბოში 1, ქარელში - 1, კასპში - 206, მცხეთაში - 23, თერჯოლაში - 1, სიღნაღში - 1, ლანჩხუთში - 3, დუშეთში - 4, ვანში - 1, დედოფლისწყაროში - 21, ადიგენში - 1, შუახევში - 1, ახალგორში - 24 **(კვაჭანტირაძე, 2017: 106).**

გაროზაშვილები 290 ადამიანია, თბილისში ცხოვრობს 62, ქუთაისში - 1, ბათუმში - 2, გორში - 18, რუსთავში - 28, ზუგდიდში - 1, გარდაბანში - 1, ქობულეთში - 1, თელავში - 34, ზესტაფონში - 1, კასპში - 40, მცხეთაში - 35, ახმეტაში - 13, ოჩამჩირეში - 1, დუშეთში - 2, დედოფლისწყაროში - 28, ახალგორში - 22 **(კვაჭანტირაძე, 2017: 107)**

ობგაძეები 69 ადამიანია, თბილისში ცხოვრობს 38, გორში - 1, რუსთავში - 1, ლაგოდეხში - 1, კასპში - 26, ასპინძაში - 1, ახალგორში - 1... ობგაიძეები რიცხობრივად აღემატებიან ობგაძეებს, სულ 356 ადამიანია... **(კვაჭანტირაძე, 2017: 385).**

როგორც ვხედავთ, ხოზოეთში მცხოვრები მოსახლეობის უმეტესობა დღეს თბილისშია დამკვიდრებული, გარდა დედაქალაქისა, გამხიტაშვილები, ძირითადად, ცხოვრობენ კასპში, გორში, მცხეთაში, დედოფლისწყაროში და რუსთავში. გაროზაშვილები - კასპში, მცხეთაში, თელავში, რუსთავში, დედოფლისწყაროში და ახმეტაში, ობგაძეები - კასპის მუნიციპალიტეტში...

დასკვნები:

ნასოფლარი ხოზოეთი მდებარეობს ქსნის ხეობაში, ოკუპირებული ახალგორის მუნიციპალიტეტის ქარჩოხის თემში, მდინარე ქსნის მარჯვენა მხარეს, სოფელ ქენქაანის დასავლეთით.

ხოზოეთი უძველესი ქართული სოფელი იყო, რომელიც სამთავნელის სარგოს X საუკუნის ნუსხაში მოიხენიება ყაზოთის, ხოლო XV საუკუნის დრამისა და შესავლის გარიგების წიგნში ხოხოთის სახელწოდებით. XVIII საუკუნის მეორე ნახევარში მოღვაწე გერმანელი მოგზაური გიულდენშდედტი მას „ხოზოეთის" სახელწოდებით იცნობს. უკანასკნელ ხანს კი, ადგილობრივი მოსახლოება ხოზუეთის სახელწოდებით მოიხსენიებდა.

ხოზოეთი ოდითგანვე ქართველებით დასახლებული სოფელი იყო, სადაც სხვადასხვა დროს მკვიდრობდნენ: გამხიტაშვილები, გავროზაშვილები (გაროზაშვილები), ხასადრიშვილები, ოგბაძეები (ობგაძეები), უქიტაშვილები, ქენქაძეები, თინიკაშვილები, პავლიაშვილები, ბალაშვილები, წიპტაურები...

XVIII-XIX საუკუნეების დემოგრაფიული ნუსხების მიხედვით ჩანს, რომ ხოზოეთში მამულები და ყმები ეკუთვნოდათ ქსნის ერისთავთა საგვარეულო სახლის წარმომადგენლებს.

ხოზოეთის მცხოვრებნი მართლმადიდებელი ქრისტიანები იყვნენ, სოფელში რამდენიმე ქრისტიანული ეკლესიაა, მათ შორის: შუა საუკუნეების წმინდა ბარბარეს

სახელობის დარბაზული ეკლესია, გარდამავალი ხანის მთავარანგელოზის ეკლესია, რომელიც წმინდა გიორგის სახელითაც იყო ცნობილი, აქ აღინიშნებოდა როგორც მთავარანგელოზობა, ისე გიორგობა.

როგორც აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის მთელ რიგ სოფლებში, ხოზოეთშიც გვხვდება „ხატიმიწებად“ და „ხატიმთებად“ სახელდებული მამულები. მოსახლეობა სალოცავებს ოჯახების კეთილდღეობისა და სიმშვიდისათვის მიწას სწირავდა. მაგალითად, მთავარანგელოზის ეკლესიის სახელზე 3 უღლით 3 დღის სახნავი მიწა იყო განპირობებული.

ხოზოეთის მცხოვრებთა ძირითადი საქმიანობა მესაქონლეობა და მეცხვარეობა იყო, მისდევდნენ მეფუტკრეობასა და საკარმიდამო მიწათმოქმედებას.

ხოზოეთის მოსახლეობა მკვეთრად იზრდება XIX საუკუნის მეორე ნახევრიდან, საუკუნის მიწურულს კი ცხრამეტ კომლს აღწევს, 88 მამრობითი სქესის და 67 მდედრობითი სქესის მოსახლით (155 სული).

XX საუკუნის შუა წლებში ხოზოეთი, მთის სოფლის კვალობაზე დიდი დასახლება ყოფილა, თუმცა სოფლის დემოგრაფიას მძიმე დაღი დაასვა მეორე მსოფლიო ომმა. სოფლიდან ფაშიზმის წინააღმდეგ გაწვეული 26 ადამიანიდან მხოლოდ 4 დაუბრუნდა მშობლიურ კერას.

1979 წლის საკავშირო აღწერის მიხედვით ხოზოეთში 33 მცხოვრები იყო, 15 მამაკაცი და 18 ქალი, 1089 წლის მონაცემებით კი უკვე ნასოფლარია. სოფლის მოსახლეობის გარკვეული ნაწილი მეზობელ სოფლებში: ქენქაანსა და მიდელაანში დამკვიდრდა, უმეტესად კი მიგრირებულნი არიან თბილისში, შიდა და ქვემო ქართლში, კახეთში, ჩრდილო კავკასიაში...

გამოყენებული წყაროები და ლიტერატურა:

ახლოური, დ. (2022). *ქსნის ხეობის ისტორია,* ტ., III. თბილისი: გამომცემლობა „საარი".

გიულდენშტედტის მოგზაურობა საქართველოში. (1962). გერმანული ტექსტი ქართული თარგმანითურთ გამოსცა და გამოკვლევა დაურთო გია გელაშვილმა, ტ., I. თბილისი: საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა.

გიულდენშტედტის მოგზაურობა საქართველოში. (1964). გერმანული ტექსტი ქართული თარგმანითურთ გამოსცა და გამოკვლევა დაურთო გია გელაშვილმა, ტ., II. თბილისი, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა.

გორის ისტორიულ ეთნოგრაფიული მუზეუმი (გსიემ). (1956). *ყოფილი ქსნის საერისთავოს მოსახლეობის აღწერა 1804 წ.,* №7486.

თაყაიშვილი, ე. (2022). *თხზულებანი, ტ. 12.* თბილისი, გამომცემლობა არტანუჯი.

დადიანიძე, ც. (2008). *ახალგორის მუნიციპალიტეტის არქიტექტურული მემკვიდრეობა, ტ. IV,* ცირა დადიანიძის რედაქციით, თბილისი.

ითონიშვილი, ვ. (2003). *ნარკვევები ქართველ მთიელთა ტრადიციული ყოფის ისტორიიდან,* თბილისი, გამომცემლობა „მემატიანე".

კაკაბაძე, ს. (1929). *საისტორიო კრებული,* წიგნი IV, ტფილისი.

კვაჭანტირაძე, კ. (2017). *ქართული და ქართულ-ებრაული გვარ-სახელები,* თბილისი, გამომცემლობა „მერიდიანი".

კლიმიაშვილი, აკ. (2022). *მორიგე ლაშქარი, მასალები XVIII საუკუნის საქართველოს სამხედრო ისტორიისთვის,* თბილისი, გამომცემლობა „არტანუჯი".

მაკალათია, ს. (1968). *ქსნის ხეობა, ისტორიულ-ეთნოგრაფიული ნარკვევი.* თბილისი. გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო".

ოთინაშვილი, ნ. (2012). *ტოპონიმიკური შენიშვნები ქსნის ხეობიდან,* გორის სასწავლო უნივერსიტეტის სამეცნიერო შრომების კრებული, №3, გორი.

საქართველოს 1923 წლის აღწერის ჯამები. (1926). *სრულიად საქართველოს 1923 წლის სასოფლო-სამეურნეო აღწერის ჯამები, ნაწილი II, დემოგრაფია,* ნაკვეთი I, ტფილისი.

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური. (2020). *მოსახლეობის სრულიად საკავშირო 1939, 1959, 1970, 1979 და 1989 წლების აღწერების შედეგები სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში.* საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, 2020.

სეასცა, ფ. 254, ან. 1, საქმე 367. *საქართველოს ეროვნული არქივი, საისტორიო ცენტრალური არქივი, ფონდი 254, ანაწერი 1, საქმე 367.*

სეასცა, ფ. 254, ან. 1, საქმე 689. *საქართველოს ეროვნული არქივი, საისტორიო ცენტრალური არქივი, ფონდი 254, ანაწერი 1, საქმე 689.*

სეასცა, ფ. 254, ან. 1, საქმე 1247. *საქართველოს ეროვნული არქივი, საისტორიო ცენტრალური არქივი, ფონდი 254, ანაწერი 1, საქმე 1247.*

სეასცა, ფ. 254, ან. 1, საქმე 1952. *საქართველოს ეროვნული არქივი, საისტორიო ცენტრალური არქივი, ფონდი 254, ანაწერი 1, საქმე 1952.*

სეასცა, ფ. 254, ან. 2, საქმე 252. *საქართველოს ეროვნული არქივი, საისტორიო ცენტრალური არქივი, ფონდი 254, ანაწერი 2, საქმე 252.*

სეასცა, ფ. 254, ან. 2, საქმე 265. *საქართველოს ეროვნული არქივი, საისტორიო ცენტრალური არქივი, ფონდი 254, ანაწერი 2, საქმე 265.*

სეასცა, ფ. 254, ან. 3, საქმე 1821. *საქართველოს ეროვნული არქივი, საისტორიო ცენტრალური არქივი, ფონდი 254, ანაწერი 2, საქმე 1821.*

ქართული სამართლის ძეგლები (ქსძ). (1970). *საეკლესიო საკანონმდებლო ძეგლები (XI-XIX სს.), ტ., III,* ტექსტები გამოსცა, შენიშვნები და საძიებლები დაურთო პროფ. ი. დოლიძემ, თბილისი.

ქენქაძე, ვ. (2008). *ქსნური ზეპირსიტყვიერების ქარაგოზი,* თბილისი.

ქენქაძე, ვ. (2010). *ქსნური ხალხური ფაბლიო,* თბილისი.

ქენქაძე, ვ. (2014). *ქსნის ერისთავიანთ ქალები, XIV-XIX საუკუნეები,* წიგნი I, თბილისი.

ხოზუეთი (ქსე). (1987). ქართული საბჭოთა ენციკლოპედია, ტ. 11, თბილისი.

ჯავახიშვილი, ივ. (1967). *საქართველოს ეკონომიური ისტორიის ძეგლები, წიგნი 1, დემოგრაფიული ძეგლები, აღმოსავლეთ საქართველოს XVIII საუკუნის ხალხის აღწერის დავთრები,* თბილისი, გამომცემლობა „მეცნიერება".

ჯავახიშვილი, ივ. (1974). *საქართველოს ეკონომიური ისტორიის ძეგლები (XIII-XIX სს.), წიგნი II,* თბილისი: გამომცემლობა „მეცნიერება".

ჯავახიშვილი, დ. (2021). *ხადა-ცხავატის წარსულის ერთი ფურცელი,* „ისტორიანი", №120, ივლისი, თბილისი.

Акты. (1868). *собранные Кавказской археографической комиссией: Том II.* Тифлис.

Беридзе, 1912 - Беридзе В. Грузинскій (картскій) глоссарій. С.-Петербургъ, 1912.

REFERENCES

akhlouri, d. (2022 a). *ksnis kheobis istoria [History of the Ksani Valley].* III. Tbilisi: “Saari”.

guldenstedtis mogzauroba sakartveloshi [guldenstedt's trip to georgia]. (1962). germanuli teksti kartuli targmaniturt gamosca da gamokvleva daurto gia gelashvilma [the german text was published with a georgian translation and research was added by gia gelashvili]. I. tbilisi.

guldenstedtis mogzauroba sakartveloshi [Guldenstedt's trip to Georgia]. (1964). germanuli teksti kartuli targmaniturt gamosca da gamokvleva daurto gia gelashvilma [The German text was published with a Georgian translation and research was added by Gia Gelashvili]. II. Tbilisi.

goris istoriul-etnograpiuli muzeumi (gsiem) [gori historical-ethnographical museum]. (1956). *kofili ksnis saeristavos mosakhleobis agwera 1804 w. [population census of former ksani saeristavo in 1804]. №7486.*

dadianidze, ts. (2008). *akhalgoris municipalitetis arqiteqturuli memkvidreoba [architectural heritage of akhalgori municipality], IV,* cira dadianidzis redakciit [edited by tsira dadianidze]. tbilisi.

takaishvili, e. (2022). tkhzulebani [works], t. 12. tbilisi: publishing house, „artanuji“

totals of the census of Georgia in 1923. (1926). *sruliad sakartvelos 1923 tslis sasoplo-sameurneo aghtseris jamebi, natsili ll, demograpia, nakveti I [totals of agricultural census of whole georgia in 1923. part ll, demography, plot l].* tbilisi.

itonishvili, V. (2003). narkvevebi kartvel mtielta tradiciuli kofis istoriidan [Essays from the history of the traditional life of Georgian mountaineers] tbilisi, gamomtscemloba „mematiane.“

kakabadze, s. (1929). *saistorio krebuli [Historical collection],* IV, Tbilisi.

kvachantiradze, k. (2017). *kartuli da kartul ebrauli gvar-sakhelebi [georgian and georgian-hebrew surnames],* tbilisi: "meridian".

klimiashvili ak. (2022). *morige lashkari, masalebi XVIII saukunis sakartvelos samkhedro istoriistviis [materials for the militaru history of eastern georgia I the second partoh the 18 th century „morige lashkari (the on-dity army], tbilisi:* publishing house, „artanuji“

makalatia, s. (1968). *ksnis kheoba, istoriul-etnografiuli narkvevi [ksani valley, historical-ethnographic essay].* tbilisi.

national statistical service of georgia. (2020). *mosakhleobis sruliad sakavshiro 1939, 1959, 1970, 1979 da 1989 aghtserebis shedegebi samkhret osetis avtonomiur olkshi [the census results of the whole unity of population in 1939, 1959, 1970, 1979 and 1970 years, in south ossetia autonomous district].* sakartvelos statistikis erovnuli samsakhuri [national statistical service of georgia], 2020.

otinashvili, n. (2012). *topinimikuri shenishvnebi ksnis kheobidan [Toponymic notes from the Ksani valley],* goris saswavlo universotetis sametsniero shromebis krebuli [collection of scientific works of Gori Teaching University], №3, Gori.

seasca, f. 254, ins. 1, case 367. *sakartvelos erovnuli arqivi, centraluri saistorio arqivi, fondi 254, anatseri 1, saqme 367 [national archives of georgia, historikal central archive, fund 254, ins. 1, case 367].*

seasca, f. 254, ins. 1, case 689. *sakartvelos erovnuli arqivi, centraluri saistorio arqivi, fondi 254, anatseri 1, saqme 689 [national archives of georgia, historikal central archive, fund 254, ins. 1, case 689].*

seasca, f. 254, ins. 1, case 1247. *sakartvelos erovnuli arqivi, centraluri saistorio arqivi, fondi 254, anatseri 1, saqme 1247 [national archives of georgia, historikal central archive, fund 254, ins. 1, case 1247].*

seasca, f. 254, Ins. 1, Case 1952. *sakartvelos erovnuli arqivi, centraluri saistorio arqivi, fondi 254, anatseri 1, saqme 1952 [national archives of georgia, historikal central archive, fund 254, Ins. 2, case 1952].*

seasca, f. 254, ins. 2, case 252. *sakartvelos erovnuli arqivi, centraluri saistorio arqivi, fondi 254, anatseri 2, saqme 252 [National archives of georgia, historikal central archive, fund 254, ins. 2, case 252].*

seasca, f. 254, ins. 2, case 265. *sakartvelos erovnuli arqivi, centraluri saistorio arqivi, fondi 254, anatseri 2, saqme 265 [National archives of georgia, historikal central archive, fund 254, ins. 2, case 265].*

seasca, f. 254, ins. 3, case 1821. *sakartvelos erovnuli arqivi, centraluri saistorio arqivi, fondi 254, anatseri 2, saqme 1821 [National archives of georgia, historikal central archive, fund 254, ins. 2, case 1821].*

kartuli samartlis dzeglebi [Monuments of Georgian law]. (1970). *Saeklesio sakanonmdeblo dzeglebi [Ecclesiastical legislative monuments] (XI-XIX), III,* tekstebi gamosca, shenishvnebi da sadzieblebi daurto prof. i.dolidzem [Prof. I. Dolidze added notes and published texts]. Tbilisi.

kenkadze, v. (2008). *ksnuri zepirsitkvierebis karagozi [Karagozi of Ksani verbal folklore].* Tbilisi.

kenkadze, v. (2010). *ksnuri khalkhuri fablio [Ksani folk fabliau],* Tbilisi.

kenkadze, v. (2014). *ksnis eristaviant kalebi [Women of Ksani nobility] (XIV-XIX), I.* Tbilisi.

khozueti (kse). (1987). kartuli sabchota entsiklopedia [Georgian Soviet Encyclopedia]. 11. Tbilisi.

javakhishvili, Iv. (1967). *sakartvelos ekonomiuri istoriis dzeglebi [Monuments of economic history of Georgia], 1, demograpiuli dzeglebi [Demographic monuments] XVIII.* Tbilisi: Metsniereba

javakhishvili, Iv. (1974). *sakartvelos ekonomiuri istoriis dzeglebi [Monuments of economic history of Georgia], (XIII-XIX), II.* Tbilisi: Metsniereba.

javakhishvili, d. (2021). *khada-tskhavatis istoriis erti furceli dzeglebi [a page from khada-tskhavati's past],* „istoriani", №120, Tbilisi.

акты. (1868). *собранные Кавказской археографической комиссией: том II. [collected by the caucasian archaeographic commission. vol.II]* тифлис. tbilisi.

Беридзе, 1912 - Беридзе В. Грузинскій (картскій) глоссарій. С.-Петербургъ, 1912.